# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ორშაბათი 12 თებერვალი 2007 №30 (2953) ფასი 50 თეთრი

# 3:2

## საქართველომ პორტუგალიასთან კაცურად მოიგო და ბავშვურად წააგო




საქართველოს საჩოგბურთო ნაკრებმა პორტუგალიასთან სამდღიანი სერია 3:2 გამარჯვებით დაასრულა და წლეულს პროგრამა-მინიმუმი შეასრულა — ევროაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში ადგილი შეინარჩუნა.

პორტუგალიელებთან შეხვედრის მესამე დღე ბევრსაც არაფერს წყვეტდა, რაკილა საქართველოს ნაკრების ლიდერებმა, ირაკლი ლაბაძემ და ლადო ჩიხლაძემ პარასკევს თავიანთი მეტოქეების ძლევისა და ნაკრების 2:0 დაწინაურების შემდეგ შაბათს ჩოგნები გააერთიანეს და ასე შეწყვილ-შეხმატკბილებულებმა გუნდს გადამწყვეტი გამარჯვება სტუმართა დუეტთან დაძაბულ ჩოგნაობაში მოუპოვეს.

3:0 დაწინაურების და საქმის ორ დღეში მოთავების შემდეგ კვირას ფორმალური ხასიათის მატჩში ხალიჩაზე პირველი დევის-მატჩები მოითამაშეს ჭაბუკმა ქართველებმა — გიორგი ჭანტურიამ და გიორგი ხრიკაძემ. სამწუხაროდ, ორივე გიორგის დებიუტი მარცხიანი გამოდა.

საქართველოს მომდევნო მეტოქე პორტუგალიაზე ბევრად მკლავმაგარი სერბეთია, რომელსაც ჩვენი ნაკრები 9-11 აპრილს ესტუმრება.

# რაღა იტალია და რაღა საქართველო: ქომაგი ტარიელია, ტრიბუნა ცარიელია




AFP

# კონტრშეტევაზეა დემეტრაძე

## პირველი კომენტარები: პეჩორის სასამართლო კორუმპირებულია, ქართველს პროცესის მოგება შეუძლია



დემეტრაძე ფინტს უკრაინულ ფეხბურთსაც უმზადებს

„დემეტრაძის საქმეს" უკვე რუსულ მედიაშიც არჩევენ — დონეცკის „მეტალურგის" ქართველმა ლეგიონერმა უკრაინულ სასამართლოში სარჩელი რომ შეიტანა, ქვეყნის კონსტიტუცია და საფეხბურთო კანონები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდესო, წინა „სარბიელშიც" გაუწყეთ — საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორვარდის ასეთი თამამი ნაბიჯი ყბად იყო მთელმა უკრაინამ და ამ თემას რუსული გაზეთებიც აშუქებენ.

მოქმედი კანონით, უკრაინულ კლუბებს მოედანზე მაქსიმუმ რვა ლეგიონერის გაყვანა შეუძლიათ და ტენდენცია იქით მიდის, რომ უკრაინაში ლეგიონერთა ლიმიტის შემცირებას აპირებენ. დემეტრაძე კი, ფაქტობრივად, კონტრშეტევაზე გადადის და ჩივის, თუ უკრაინის კონსტიტუციით ქვეყანაში კანონიერად მომუშავე უცხოელს არანაირი შეზღუდვები არ აქვს, ფეხბურთელი რატომ უნდა იყოს გამონაკლისიო.

„ბოსმანი" თუ „კარპინი" უკრაინულ ფეხბურთშიც გაჩნდება — ვარაუდობს ზოგი უკრაინული გამოცემა — დემეტრაძეს შანსი გაუჩნდა, ისტორიაში ისე ჩაეწეროს, როგორც ბოსმანა ან კარპინი.

დემეტრაძე კიევში, პეჩორის სასამართლოში ჩივის. პეჩორის სასამართლო კი სახელგატეხილია — ირიბად და სარკაზმგარევით ღაღადებს უკრაინული მედია.

უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის იურიდიული განყოფილება აცხადებს, ჯერ სათანადო დოკუმენტაცია არ გვაქვს, „დემეტრაძის საქმეს" რაიმე შეფასება მივცეთო. თუმც უკრაინულ პრესაში იმასაც ამოიკითხავთ, ფეხბურთის ფედერაცია მალე გააკეთებს კომენტარს „დემეტრაძის საქმეზეო".

პირში წყალი არ ჩაუგუბებია დემეტრაძის კლუბს — „მეტალურგის" პრესსამსახურმა დაადასტურა ფეხბურთელის მოსარჩელეობა და ისიც დასძინა, ეს დემეტრაძის პირადი ინიციატივაა, რადგან ის ბოლო დროს იშვიათად ხვდება ძირითად შემადგენლობაში ლეგიონერთა ლიმიტის გამო და საკუთარი უფლებების დაცვა სასამართლოში გადაწყვიტაო.

უკრაინულ პრესაში ჯერაც არ ჩანს დემეტრაძის კომენტარი და იქაური მედია იუწყება, დემეტრაძეს უთქვამს, სანამ პროცესი არ დასრულდება, პრესაში ხმის ამომღები არ ვარო.

პეჩორის სასამართლოში პირველი გარჩევა 20 თებერვალს გაიმართება და მას დემეტრაძე არ დაესწრება — ფეხბურთელის ინტერესებს მისი ადვოკატი დაიცავს.

ბარემ ისიც ვთქვათ, რატომ ვადარებთ დემეტრაძეს ბოსმანს. 1995 წელს „ლიეჟიდან" ფრანგულ „დიუნკერში" გადასვლისას ბელგიელმა ჟან-მარკ ბოსმანმა მოითხოვა, როცა ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდება, ის თავისუფალი აგენტი უნდა გახდეს და ევროპის ეროვნულ ჩემპიონატებში ევროკავშირის ქვეყნების ფეხბურთელები ლეგიონერებად არ უნდა ჩაითვალონო — ბოსმანმა საქმე ევროსასამართლოში მოიგო. რუსმა ვალერი კარპინმა კი ესპანეთში ხუთი წელი ითამაშა და მერე ამ ქვეყნის მოქალაქეობა მოითხოვა, რითაც ევროკავშირელის სტატუსი მიიღო.

რუსეთში ყველაზე პოპულარული სპორტული გაზეთი „სპორტ-ექსპრესი" „დემეტრაძის საქმესთან" დაკავშირებით პროფკავშირულ ორგანიზაცია „უკრაინის ფეხბურთელების" თავმჯდომარე ოლეგ პეჩერნის ესაუბრა. „სპორტ-ექსპრესი" იუწყება, პეჩერნიმ ყურადღებით შეისწავლა დემეტრაძის სარჩელი და მასზე ორსიტყვიანი კომენტარი გააკეთაო — „შეშლილის ბოდვა".

— ქართველ ფორვარდს არაფერში ვადანაშაულებ. ბრძაც კი მიხვდება, რომ ეს ყველაფერი ერთი რგოლია იმ ჯაჭვისა, რომელიც უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრესტიჟის შესალახად, არის მიმართული. ნათელია, რომ ამ აბსურდული ნაბიჯის უკან დონეცკის „მეტალურგის" ხელმძღვანელობა და უშუალოდ მისი ვიცე-პრეზიდენტი დმიტრი სელიუკი დგანან, რომელსაც აღარ აქვს იმის შესაძლებლობა, უკრაინაში საშუალო დონის ლეგიონერები ჩაიყვანოს. კარგად ვიცი, რა არის პეჩორის სასამართლო და, სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ დემეტრაძეს ამ საქმის მოგების შანსი აქვს. თუ ასე მოხდება, უკრაინული ფეხბურთი და პირველ რიგში უკრაინის ეროვნული ნაკრები კრახს მოუახლოვდებიან — უთქვამს პეჩერნის „სპორტ-ექსპრესისთვის".

**ნიკა ჯორჯაძე**

# ფრაიბურგმა თვალებში გამოიხედა

## იაშვილის აქტივი: ცხრა პასი



ალექსანდრე იაშვილმა „ფრაიბურგს" ისევ უკაპიტნა

**ქართველ** ლეგიონერებს, მეტადრე კი მათ კლუბებს, წარმატებული შაბათ-კვირა ჰქონდათ. მეტი რაა, ლევან კობიაშვილის „შალკე" ძალიან ახლოსაა ბუნდესსასალათესთან, თუმცა გერმანია და „ტკბილი ლუკმა" ბოლოსთვის მოვიტოვოთ.

ინგლისით დავიწყოთ, სადაც ორმატჩიანი უქმობის შემდეგ „ბლექბერნის" ძირითადს დაუბრუნდა **ზურაბ ხიზანიშვილი**. „ვარდებმა" სტუმრად „ევერტონთან" 0:1 წააგეს, ქართველმა მცველმა კი 83 წუთი ითამაშა და უეჭველ გოლსაც გაიტანდა, ლივერპულელთა ამერიკელ მეკარე ტიმ ჰოვარდს რომ არ ეყოჩაღა — ხიზანიშვილის დარტყმული ჰოვარდმა აკრობატულ ნახტომში გადააგდო კუთხურზე.

ჰოლანდიაში კვლავ მოიგო **შოთა არველაძის** „ალკმაარმა", თუმცა „ტილბურგთან" 2:0 ქართველი ბომბარდირის გარეშე შედგა — არველაძეს გრიპი შეეყარა და ვერც ოთხშაბათს ითამაშებს უეფას თასზე „ფენერბაჰჩესთან".

„პანიონიოსი" — „არისი" 0:0 დასრულდა და ლევან ცქიტიშვილმა ზედიზედ მეორედ ითამაშა ძირითადში. იგი 81-ე წუთზე შეცვალეს. ერთია საინტერესო: მას შემდეგ, რაც ცქიტიშვილი „ალკმაარს" ვერ შეუთანხმდა და „პანიონიოსში" მიბრუნდა, ბერძენთა მწვრთნელი ევალდ ლინენი უფრო „სამართლიანად" ექცევა. აბა, მანამდე ძირითად შემადგენლობას საერთოდ არ აკარებდა.

ახლა კი გეზი შეპირებული გერმანიისკენ. „ვერდერმა" წააგო, „შალკემ" მოიგო, რაც იმას ნიშნავს, რომ „ხუმარები" 6 ქულით დაშორდნენ მთავარმოცილეს და ახლაც თუ დაკარგეს ჩემპიონობა... „შალკემ" 2:0 სძლია ბერლინის „ჰერტას", კობიაშვილს კი ფეხის თითი სტკივა და, მართალია, თითქმის მოურჩა, მაგრამ მირკო სლომკამ მისი მინდორზე გაყვანა სარისკოდ ჩათვალა. სავარაუდოდ, ლევანი ბუნდესლიგის მომდევნო ტურში ითამაშებს.

**მიხეილ აშვეთიამ** „კარლ ცაისის" მაისურით პირველი გოლი გაიტანა. იენელებმა უპრინციპულესი თამაში 2:0 მოუგეს შინ „ესენს", ქართველმა ფორვარდმა კი 39-ე წუთზე თავურით გახსნა ანგარიში. აშვეთიამ 73 წუთი ითამაშა, **გიორგი ლომაია** კი შეუცვლელად იდგა კარში, თუმცა „იდგა" კი არა, გერმანულ „კიკერს" თუ ვენდობით, „იფრინა"...

ლომაიამ ოთხი ურთულესი ბურთი მოიგერია და ალბათ ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა „კარლ ცაისის" გამარჯვებაში. აშვეთია-ლომაიას გუნდი ისევ გასავარდნ ზონაში, მე-15 ადგილზეა და მეორე ბუნდესლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად საკმაო ოფლისღვრა მოუწევს.

ძაან ტემპი აკრიფა „ფრაიბურგმა" — ფოლკერ ფინკეს ბიჭებმა ამჯერად „მიუნხენ 1860" 3:0 დაჩაგრეს, მეორე გოლი კი როდა ანტარს **ალექსანდრე იაშვილმა** გაატანინა. „იაშიმ" სრულად ითამაშა, **ოთარ ხიზანეიშვილი** კი შესვენების შემდეგ გავიდა მინდორზე. „ფრაიბურგმა" მიჯრით მეოთხე მატჩი მოიგო და მეექვსე ადგილზე აინაცვლა. რაც შეეხება **მათე ღვინიანიძეს**, მას მიუნხენელთა გუნდში არ უთამაშია.

...როგორც ჩანს, აუე საბოლოოდ დაემდურა **დავით სირაძეს**. ჩვენიანმა ერცგებირგელებთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარი თქვა და მას მერე თამაშიც აღარ უწევს. აუე-მ სტუმრად 1:2 წააგო „ფიურტთან", სირაძე კი მინდორზე არ გამოჩენილა.

**ილია ნანობაშვილი**



# რატომ ტომი? იმიტომ

## გოგიტა გოგუა: ზაფხულამდე ციმბირში

გოგიტა გოგუას ტომსკის „ტომში" ტრანსფერი გადაწყვეტილი ამბავია. მას შემდეგ, რაც შოტლანდიურ „ჰარტსში" გადასვლა ჩაიშალა, გოგიტას მომავალ კლუბად სწორედ „ტომს" ასახელებდნენ. განიხილებოდა ნალჩიკის „სპარტაკში" დაბრუნების ვარიანტიც, რაზეც გოგუამ უარი თქვა.

გუშინ გოგუას მენეჯერ მამუკა ჯულელს დავუკავშირდით: „ყველაფერი გადაწყვეტილია, გოგუა „ტომს" 13 თებერვალს შეუერთდება და ესპანურ შეკრებაზეც გაჰყვება. არავითარი გართულება აღარ იქნება, გოგუას სატრანსფერო უფლებების მფლობელი ანდრეი ჩერვიჩენკოც, ცხადია, საქმის კურსშია".

ჯულელისვე თქმით, გოგუა „ტომში" ზაფხულამდე განათხოვრებით ითამაშებს.

მოკლედ, 23 წლის ნახევარმცველის იქითურ-აქეთური დამთავრდა.

ახლა კი „ტომზეც" ვთქვათ. ტომსკელები შარშანწინ გადავიდნენ რუსეთის პრემიერლიგაში და სადებიუტო სეზონში მერვე ადგილი დაიკავეს. მწვრთნელ ვლადიმირ პეტრაკოვს ბევრი ლეგიონერი ჰყავს, მათ შორის ხორვატი მცველი ვეიჩი და ბულგარული ნახევარმცველი მლადენოვი. შარშან ტომსკელთა მთავარი ძალა ბომბარდირი პაველ პოგრებნიაკი იყო, რომელიც „ზენიტმა" წაიყვანა. სამაგიეროდ, ურალსგადაღმა ქალაქის გუნდმა იაროსლავლის „შინიკიდან" ფორვარდი ალექსანდრ შირკო გადაიყვანა.

რაც უნდა იყოს, „ტომი" დროებითი ბანაკია გოგუასთვის და იმედია, ზაფხულში მაინც გაჭრის ევროპულ ფანჯარას.

**ილია ნანობაშვილი**



# დანქე ქართველებს

## აშვეთიამ გოლის გემო გაიხსენა

გუშინ მიხეილ აშვეთიას და გიორგი ლომაიას პირველად მოუწიათ იენაში თამაში და გულშემატკივარსაც მოაწონეს თავი. აშვეთიამ ფანტასტიკური გოლი გაიტანა, რითაც გუნდის გამარჯვებას დაუდო სათავე, ხოლო ლომაიამ რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია და კარიც მშრალად შეინახა. გერმანულმა „შპიგელმა" ქართველები მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს. გუშინვე აშვეთიას იენაში შევეხმიანეთ...

— როგორი გოლი შეაგდე?

— ძალიან ლამაზი იყო, მეც რომ გამიკვირდა ისეთი. საჯარიმოს ხაზიდან შორეულ კუთხეში თავით დავარტყი და ბურთი ცხრიანში შეფრინდა. ასეთი სილამაზის გოლები იშვიათად გადის.

— თამაში როგორი იყო?

— პირველ ტაიმში „ესენს" მაგრად ვაჯობეთ. უამინდობის გამო მოედანი გაფუჭდა და უხეშობამაც იმატა, ჩეხვა წავიდა. მატჩის მიწურულს მეტოქე კონტრშეტევაზე დავიჭირეთ და მეორეც გავიტანეთ.

— ლომაიას თამაში გერმანულმა პრესამაც გამოარჩია...

— რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია, მისი დიდი დამსახურებაცაა, რომ მოვიგეთ.

— კიდევ ხომ არ გქონია საგოლე მომენტი?

— კი, მაგრამ ველარ გავიტანე.

— რატომ შეგცვალეს?

— ტაქტიკური ცვლილება იყო, მწვრთნელმა მოედანზე დაცვითი სტილის ფეხბურთელი გამოიყვანა. ისე, ცოტა ხანში შეცვლას მაინც მოვითხოვდი, ჯერ ოპტიმალურ ფორმაში არ ვარ.

— გულშემატკივარს მეორე ბუნდესლიგაში დარჩენის იმედი გაუჩნდა?

— ასეც იქნება. გუნდში ექვსი ახალი ფეხბურთელი კი ვართ, მაგრამ შეუთამაშებლობის არაფერი გვეტყობა, კიდევ მოვუმატებთ და მეორე ბუნდესლიგაში აუცილებლად დავრჩებით.

— მწვრთნელმა რა გითხრათ თამაშის შემდეგ?

— მწვრთნელიც და პრეზიდენტიც გასახდელში შემოვიდნენ. ძალიან გახარებულები იყვნენ, რაღაცები კი გვითხრეს, მაგრამ ჩვენ „დანქეს" მეტი არაფერი გაგვიგია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# რას იზამს მარტში მალხაზ ასათიანი?

## გერმანულად დატვირთული ქართველი რუსეთში დაბრუნდა



**საქართველოს** ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი გერმანიიდან მოსკოვში დაბრუნდა.

თითქმის ერთთვიანი სარეაბილიტაციო კურსი წარმატებული გამოდგა — ასათიანმა კარგად გაართვა თავი საკმაოდ დიდ დატვირთვებს და რუსეთშიც იმედიანად დაბრუნდა. გერმანელი ექიმების თქმით, მალხაზის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მის გამოჯანმრთელებას გართულებანი არ ახლავს.

— თავს კარგად ვგრძნობ. ვატყობ, ნელ-ნელა ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის და ექიმებიც კმაყოფილნი არიან — გვითხრა გუშინ მალხაზ ასათიანმა, მოსკოვში რომ შევეხმიანეთ.

„ლოკომოტივის" ქართველი ახლა გუნდის შეკრებიდან დაბრუნებას ელის — დიდი შანსია, რკინიგზელი კლუბის სამედიცინო შტაბმა ასათიანს გუნდთან ერთად მესამე შეკრებაზე წასვლის ნება დართოს.

**ქახა შალამბერიძე**

# ამერისთვის ორივე ფრონტი გახსნილია

ორი თურქული შეკრება მოილია „ამერმა" და ახლა თბილისში აგრძელებს სეზონის განახლებისთვის მზადებას. „ამერმა" პირველი წრე მესამე ადგილზე ჩაამთავრა და ლიდერ „ოლიმპს" ორი ქულით ჩამორჩება, დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გათამაშებაში კი თბილისის „დინამოსთან" მოუწევს შეხლა ნახევარფინალში გასასვლელად. „ამერის" მთავარ მწვრთნელ გიორგი ჩიხრაძეს გუშინ ვესაუბრეთ...



## გიორგი ჩიხრაძე: ტოპმიოლერთან საქმეელს პრესაში არ ვიტყვი

— ორ თურქულ შეკრებაზე იყავით და მთლიანად საშუასეზონო მოსამზადებელ ეტაპზე რვა საკონტროლო მატჩი ითამაშეთ — შედეგებზე რას იტყოდით?

— შედეგი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ საკონტროლო მატჩების შედეგებზე აქცენტი არ გვქონდა გაკეთებული — მთავარი ფუნქციური მომზადება იყო. პირველ თურქულ შეკრებაზე სამჯერადი ვარჯიშები გვქონდა, მეორეზე ორჯერადი, თამაშის დღესაც კი ვვარჯიშობდით. ფეხბურთელებს მაღალი დატვირთვების ფონზე უწევდათ თამაში.

— სეზონი ერთ კვირაში განახლდება თასის მეოთხედფინალის პირველი მატჩით „დინამოსთან" — გამოდის, დატვირთვებიდან ერთ კვირაში გიწევთ მნიშვნელოვანი შეხვედრა...

— დატვირთვები გაუსაძლისი არ ყოფილა და საკმარისი დრო გვაქვს, „დინამოსთან" მატჩისთვის გუნდი ნორმალურ კონდიციაში იყოს.

— საშუასეზონო პერიოდში „ამერი" მიხეილ მესხის გარდა კიდევ აპირებს ფეხბურთელის დამატებას?

— თითქმის გადაწყვეტილია ვლადიმერ კაკაშვილის „ამერში" დარჩენაც.

— ნახევარდაცვის ცენტრი და დაცვა — მესხით და კაკაშვილით „ამერი" ამ პოზიციებზე გაძლიერდება. ეს იყო გასაძლიერებლად ყველაზე საჭირო პოზიციები „ამერში"?

— ახალი ფეხბურთელებით გაძლიერება ყველა პოზიციაზეა საჭირო — ეს ნორმალური პროცესია. ამ ეტაპზე „ამერს" სელექცია ჯერ არ დაუსრულებია და შესაძლოა, კიდევ დავიმატოთ ფეხბურთელები.

— ჩემპიონობა და თასი — „ამერის" პრიორიტეტი არჩეულია თუ ორივე ფრონტზე ერთი და იგივე მიზანი გაქვთ?

— პრიორიტეტი ჩვენთვის არ არსებობს — წარმატების მიღწევას თასზეც და ჩემპიონატშიც ვეცდებით.

— წინა სეზონის მეორე ეტაპზე „ამერმა" პრიორიტეტად თასი აირჩია, ალბათ იმიტომ, რომ ორივე ფრონტზე ძალები თანაბრად ვერ გადაანაწილა — ახლა გაქვთ ორივე ტიტულისთვის საჭირო რესურსი?

— წინა სეზონში მზად არ ვიყავით ორივე ტიტულისთვის საბრძოლველად. „ამერი" უმაღლესი ლიგის დებიუტანტი იყო, როგორც გუნდს, გამოცდილება გვაკლდა, გამოცდილება აკლდათ ჩვენს ახალგაზრდა ფეხბურთელებსაც. ახლა კი შეგვწევს იმის ძალა, ორივე ფრონტზე ვიბრძოლოთ.

— ამას ალბათ დაახლოებით ოცი ასე თუ ისე თანაბარი ძალის ძლიერი ფეხბურთელი სჭირდება...

— გვყავს 17-18 ისეთი ფეხბურთელი, ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად ერთმანეთს სრულფასოვან კონკურენციას რომ უწევენ.

— საშუასეზონო სელექციის მიხედვით „ამერის" კონკურენტ გუნდებზე რას იტყოდით?

— ჯერ კიდევ პირველ წრეში ვამბობდი, სეზონის მეორე ეტაპზე „სიონი" უფრო სერიოზული გუნდი გახდება-მეთქი. ვფიქრობ, დიდი მიზნებისთვის მებრძოლ გუნდებს „სიონიც" შეემატება.

— „დინამოსთან" სათასო მატჩებში მეტოქისგან იმ პრესინგს ელით, რითაც პირველ წრეში დუშან უჰრინის გუნდმა რუსთავის „ოლიმპს" მოუგო?

— როცა გუნდი კარგად ფლობს ამ ელემენტს, ეს კარგი იარაღია, მაგრამ არსებობს ამის საპირისპირო ხერხიც.

— და რა არის ეს ხერხი?

— თუ „დინამო" პრესინგს აირჩევს, ამ ხერხს მაშინ გამოვიყენებთ და ნახავთ.

— როცა მეტოქე პრესინგს გეთამაშება, პირველ რიგში ალბათ ძლიერი შემტევებით უნდა გაუმკლავდე მას, „ამერს" კი ფორვარდები — რატი წინამძღვრიშვილი და დიმიტრი ტატანაშვილი ტრავმის გამო ოპტიმალურ ფორმაში ალბათ ვერ ჰყავს...

— უიმედოდ არ ვართ. წინამძღვრიშვილის საკითხი საბოლოოდ არ არის გარკვეული, მას ფეხი ჰქონდა დაბეჟილი და მერე გაციებაც დაემატა. ტრავმა აწუხებდა ტატანაშვილსაც, ის ახლა იწყებს გუნდთან ვარჯიშს, მაგრამ ისიც მალე ჩადგება მწყობრში. მათი და სულიკო დავითაშვილის გარდა თავდასხმაში ჩიმაკაძეც გვყავს, ვინც აშკარად პროგრესირებს. ფორვარდების გარდა კიდევ გვაქვს სხვა შეტევითი რესურსი და თუ თავდასხმაში პრობლემები გვექნება, შეგვიძლია, მეტოქეს სიურპრიზი შევთავაზოთ.

— ნაკრებზეც ვთქვათ — ეროვნულ გუნდში წლების განმავლობაში თამაშობდით და ახლა უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის მწვრთნელი ხართ

— როგორ ფიქრობთ, ნაკრებში ეროვნული ჩემპიონატიდან ფეხბურთელების რა სპექტრი უნდა იყოს წარდგენილი?

— სანაკრებოდ ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელების იგნორირება არ შეიძლება, მათ უნდა ჰქონდეთ იმის მოტივაცია, რომ ნაკრებში მოხვდებიან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს უარყოფითად აისახება მათ ზრდაზე და ეროვნულ ჩემპიონატზე. ისიც უნდა ითქვას, რომ ფეხბურთელის გამოძახება და მერე მისი სანაკრებო შეკრებიდან გაშვება ან მოედანზე არ გაყვანა ამ ფეხბურთელებისთვის სანაკრებო შანსის მიცემას არ ნიშნავს.

— რჩევა რომ გკითხონ, ეროვნული ჩემპიონატიდან ვის გაუწევდით რეკომენდაციას კლაუს ტოპმიოლერთან?

— თუ ამას ნაკრების მწვრთნელი მკითხავს, პასუხს გავცემ, პრესაში კი ამის თქმა არ მსურს, ეს პროფესიული ინფორმაციაა.

**დავით თავართქილაძე**



ნედ ზელიჩი და მილოშ კრშკო დიღმის ბაზას უშინაურდებიან

# დინამოს კომპლექტამდე კალმის მოსმაღა დარჩა

## კახეთს დიღომში მაგრად დასცხა

**ანთალიიდან** დაბრუნებულმა თბილისის „დინამომ“ გუშინ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ჩემპიონატის აუტსაიდერ თელავის „კახეთს“ უმასპინძლა და 5:0 მოუგო. ისევე როგორც თურქეთში, დუშან უჰრინმა კახელებსაც თითქმის ორი შემადგენლობა დაუპირისპირა. შესვენებამდე თბილისელთა ძირითადი უცვლელი იყო, მეორე ტაიმში კი რვა შეცვლა გაკეთდა.

„დინამოს“ შემადგენლობა ასეთი იყო: ლორია (გრიშიკაშვილი), შ. კაშია (გ. კაშია), ზელიჩი (კრშკო), კრშკო (ნოზაძე), თომაშვილი (აკობია), დიღმელაშვილი, ხმალაძე, მერებაშვილი (ს. იაშვილი), სპასოევიჩი, ფეიქრიშვილი (ხუციშვილი), ჯანაშია (ჩირიკაშვილი). თბილისელებმა, რომლებსაც ამ მატჩში აშკარად ეტყობოდათ, რომ უფრო სწრაფ, მოქნილ და აგრესიულ ფეხბურთს თამაშობენ, ვიდრე შემოდგომაზე, პირველ ტაიმში სამი გოლი გაიტანეს, ორიც — მეორეში. პირველად თავი შოთა კაშიამ გამოიჩინა, ვინც გოგა იაშვილს ჯარიმიდან გაუტანა, მერე ფეიქრიშვილმა და ჯანაშიამ იყოჩაღეს, კახელთა მეკარემ კი ხუთი-ექვსი ურთულესი ბურთი მოიგერია. შესვენების შემდეგ, დინამოელთა ფორვარდი სანდრო იაშვილი ბევრს ეცადა მისი ძმისთვის გოლის გატანას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, სამაგიეროდ კი, სპასოევიჩმა და ისევ ჯარიმიდან ხმალაძემ გაიტანეს. ანგარიშიდანაც ჩანს, რომ მთელი მატჩის განმავლობაში „დინამოს“ უპირატესობა თვალსაჩინო იყო. აი, „კახეთს“ კი მასპინძელთა კარისკენ ხეირიანად არც ერთხელ დაურტყამს, ლორიასა და გრიშიკაშვილის საქმე არ ჰქონიათ, არც თბილისელთა მცველები ყოფილან მაინცდამაინც დატვირთულნი. ალბათ, ამიტომაც დუშან უჰრინმა ცენტრალური მცველები, კრშკო და ზელიჩი ერთმანეთითაც შეცვალა.

„კახეთმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გ. იაშვილი, კობახიძე, იოსებაშვილი, კვირკველია, აბდულაევი, კუპრაშვილი, ნ. დავითაშვილი, გ. ხიდაშელი, ძმუკაშვილი, ბიძინაშვილი, მაჩაიძე. შეცვლაზე შევიდნენ: ბ. ბურნაძე, ამირანაშვილი, ლ. ბურნაძე, მ. ხიდაშელი და ტეტიაშვილი. „დინამოსთან“ „კახეთის“ თამაშის შემხედვარეთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ გუნდს უმაღლეს ლიგაში არანაირი პერსპექტივა არ უჩანს. თელაველთათვის მეორე წრეში ერთი-ორი ქულის მოპოვებაც ალბათ დიდი ამბავი იქნება და ეს იმ გუნდმა იკითხოს, რომელიც ამ ქულებს დაკარგავს...

ამ ამხანაგურის შემდეგ „დინამოს“ ჩეხმა თავკაცმა *დუშან უჰრინმა* თქვა:

— საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრისვის გუნდი პრაქტიკულად უკვე დაკომპლექტებულია. დავიმატეთ რამდენიმე ფეხბურთელი და ახლა მხოლოდ ჩორნიგორიელი თავდამსხმელის ილია სპასოევიჩის საკითხი მაქვს გადასაწყვეტი. თუმცა უკვე ხვალ-ზეგ გაირკვევა, ითამაშებს თუ არა ეს ფეხბურთელი ჩვენთან. მართალია, სლოვაკ კრშკოსა და ფეიქრიშვილს კონტრაქტები არ გაუფორმებიათ, მაგრამ ეს უკვე ფორმალური მხარეა — ორივე დინამოელია.

— აქამდე „დინამომ“ სამი შეკრება გაიარა. შემიძლია ვთქვა, რომ გუნდი ამ ეტაპზე ფიზიკურად კარგად არის მომზადებული, თუმცა ტაქტიკა-სტრატეგიაზე სამუშაო კიდევ გვაქვს, რასაც ჩემპიონატის მსვლელობისას უფრო დავხვეწთ.

— „კახეთთან“ შეხვედრით, ცხადია, კმაყოფილი ვარ, ანგარიშიც კარგი იყო და თამაშის ხარისხიც. თუმცა ერთხელაც ვიტყვი, ტაქტიკური სამუშაო კიდევ ბევრი გვაქვს.

მწვრთნელის შემდეგ ერთი-ორი სიტყვა „დინამოს“ სლოვაკმა ლეგიონერმა *მილოშ კრშკომაც* გვითხრა. ეს 27 წლის მცველი „დინამოს“ ანთალიურ შეკრებაზე შეუერთდა და თბილისში გუნდთან ერთად დაბრუნდა...

— პირველი შთაბეჭდილება ძალიან კარგია. შესანიშნავი საწვრთნელი ბაზაა და გუნდშიც ჩინებული ატმოსფეროა. ცხადია, თბილისის „დინამო“ აქამდეც ვიცოდი. დიდი ტრადიციების გუნდია და მსიამოვნებს, აქ თამაშის საშუალება რომ მექნება. „დინამო“ ახალგაზრდული გუნდია, მაგრამ ისინი საკმაოდ ნიჭიერი ფეხბურთელები არიან და მათთან ერთად წარმატებების იმედი მაქვს.



ილია სპასოევიჩი გოლით დიღომშიც გამოირჩა

**კობა ინასარიძე**

# ქუთაისში მძღოლებზე და მზარეულებზეც ხუმრობენ

## რა ხდება გურჯაანიდან ურეკამდე

**საქართველოს** ჩემპიონატის მეორე წრე კარს მოგვადგა. სანამ გუნდები ჩემპიონატს განაახლებენ, მანამდე სათასო ბატალიები ელით. ახლა კი უმაღლესი ლიგის თითქმის ყველა გუნდი შეკრებაზეა და მზადების დასკვნით ეტაპს გადის.

ჩემპიონატის ლიდერი რუსთავის „ოლიმპი“ თბილისშია და დიდუბის მანეჟში ემზადება. ფიზიკურ ვარჯიშებთან ერთად რუსთაველები ტესტ-მატჩებსაც მართავენ და გუშინ პირველი ლიგის ლიდერ ახალციხის „მესხეთს“ გაეჯიბრნენ. „ოლიმპმა“ 8:1 მოიგო.

რუსთაველთა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა რამდენიმე ახალწვეულიც გამოსცადა. მათგან ვინ დარჩება გუნდში, ჯერ უცნობია. გადაწყვეტილი ერთია: მიხეილ ჩხარტიშვილი „ოლიმპში“ იქნება.

„ოლიმპი“ დატოვა ლერი ხოხონიშვილმა — ის „ბათუმს“ შეუერთდა.

ჩემპიონი ბოლნისის „სიონი“ კი დღეს გურჯაანში ჩავა და იქ შეკრებაზე მყოფ „მერანს“ გაეჯიბრება. „სიონი“ პირველ წრეში მეშვიდე ადგილზე გავიდა და ტიტულის დაცვა გაუჭირდება, თუმც გუნდი მეორე წრეში ხელწამოსაკრავი ნამდვილად არ იქნება. ბოლნისურ კლუბთან უკვე გააფორმეს კონტრაქტები ვიტალი დარასელიამ, ლევან სილაგაძემ, ლევან კორღალიძემ, შოთა ბაბუნაშვილმა, ზურაბ მამალაძემ და ზურაბ ექონიამ.

ქუთაისში კი უკვე იმაზეც ხუმრობენ, გუნდიდან გათავისუფლების ფურცელს ფეხბურთელებთან ერთად მძღოლი და მზარეულიც ითხოვენო. როგორც ჩანს, კლუბისა და კომპანია „ვისოლის“ თანამშრომლობა არ გამოვიდა და უპატრონო გუნდში გაჩერების სურვილი არავის აქვს. ფეხბურთელებს თვალი გაქცევაზე უჭირავთ და რა ბედი ელის „ტორპედოს“ მეორე წრეში, გაურკვეველია. ქალაქს გუნდის შენახვის სურვილი მაშინ არ ჰქონდა, „ტორპედო“ ერთ-ერთი ძლიერთაგანი რომ იყო და, მით უმეტეს, ახლა... ასეა თუ ისე, „ტორპედოს“ ფინანსების მოძიება მოუწევს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი მეორე წრეში თამაშიც კი საეჭვოა.

სანამ „ტორპედო“ პატრონს ეძებს, სალორიაზე ფინანსურად მოძლიერებული გორის „დილა“ ამხანაგურად ისტუმრა და 2:0 მოუგო. რიონისპირელთაგან გოლები მამუკა ღონღაძემ და კახა კვეტენაძემ გაიტანეს.

თბილისის „ლოკომოტივი“ ურეკში ემზადება. ვაკელებს სპარინგ-პარტნიორის მონახვა არ გასჭირვებიათ, ხოლო „ბათუმს“ — ურეკში ჩასვლა. ორივე გუნდი ცხრილის ქვედა ნაწილშია, თუმცა მათ უმაღლესში დარჩენა არ უნდა გაუჭირდეთ. „ბათუმს“ თასსაც შემორჩა. ზღვისპირელები ნელ-ნელა შემადგენლობასაც აძლიერებენ: გუნდში მოვიდნენ ხოხონიშვილი და ბექლარ თევდორაძე, რომელიც აზერბაიჯანში იმყოფებოდა გასინჯვაზე.

„ლოკომოტივში“ ვეტერანი ვლადიმერ გოჩაშვილი რომ დაბრუნდა, აღრეც გამცნეთ. იგი თბილისელთათვის საკვანძო ფეხბურთელია და „ბათუმთანაც“ ორი ბურთი გაიტანა. ბათუმელთაგან კი კუნჭულიამ და ფარტენაძემ გაიტანეს და შეხვედრა 2:2 დასრულდა.

**„ბათუმი“**: სომხიშვილი, ჯინჭარაძე (დუმბაძე), გალოგრე (ბაჯელიძე), ლობჟანიძე, ბარამიძე, შალამბერიძე, თურმანიძე, ღარჩიძე (ცანავა), ბეჟანიძე (კუნჭულია), კრესელიძე (ფარტენაძე), კვარაცხელია (ტულუში).

**„ლოკომოტივი“**: გვარამაძე, გ. კვახაძე (თუთბერიძე), გუშარაშვილი (ებრალიძე), კუპრეიშვილი, ფოფხაძე, სოსელია (ბერაძე), მალიჩავა, ბარბაქაძე, სამხარაძე (კირკიტაძე), გოჩაშვილი, წუწუნავა (ყლენტი).

*ამირან გოგიტიძე, „ბათუმის“ მწვრთნელი:* „ამ ეტაპზე შედეგს არანაირ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. მთავარი გუნდის შეთამაშებაა. შარშანდელზე უკეთესი გუნდი აუცილებლად გვეყოლება.“

*ამირან მინაშვილი, „ლოკომოტივის“ მწვრთნელი:* „ორი განსხვავებული ტაიმი იყო. პირველში უფრო ოპტიმალური შემადგენლობა გვყავდა და კარგად გამოჩნდა ნათელი წერტილები. ერთ მომენტში 10-15 წუთის მანძილზე ბურთის ფლობის კლასიკური ნიმუშიც ვაჩვენეთ. სამი ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. მოსამზადებელი ეტაპია და ფიზიკურად ცოტა გაგვიჭირდა. სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია.“

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



„ტორპედო“ მწვრთნელ-ფეხბურთელებიანად ფულს და პატრონს ელის

# ვიტ ჯორჯია ჯერაც იქაა

**„ვიტ ჯორჯია“** ერთადერთი ქართული გუნდია, ჯერაც უცხოეთს რომ შერჩა და მზადებას თურქეთში, საკურორტო ქალაქ სიდეში განაგრძობს. გუშინ ვეტერინარებმა მესამე საკონტროლო თამაში გამართეს, მეტოქედ რუმინეთის ჩემპიონატის მეოთხეადგილოსანი „სპორტული“ ჰყავდათ და 2:0 დამარცხდნენ.

**„ვიტ ჯორჯია“**: ბედიაშვილი (მიქაბერიძე 46), პ. დათუნაიშვილი (იმერლიშვილი 70), კვახაძე (ადამაძე 70), ლომაია (კაიშაური 70), ჯაფარიძე, რაზმაძე (მელქაძე 46), კვალიაძე, გ. დათუნაიშვილი (ბეჭვაია 57), სახოკია (კლიმიაშვილი 57), ლუჭაშვილი (ბერიაშვილი 46), კიკნაძე (ლიპარტია 77).

ვეტერინართა მზადების განრიგში ცვლილებაა: დღეისთვის დაგეგმილი თამაში ბელარუსის ჩემპიონ „გროდნოსთან“ არ ჩატარდება. მიზეზი ფეხბურთელების გადაღლილობაა. 13 თებერვალს თბილისელები „ალანიას“ ეთამაშებიან, 15-ში კი ბელარუსულ „ნაფტანს“ და სამშობლოში გამოემგზავრებიან.

# საქართველოს ჩემპიონატი

## შერმადინის 42 ნიკოლაძის 37-მა გადაწონა




[illegible] ფოტო

9 თებერვალი. რუსთავი

**აზოტი 81:58 დინამო**

*22:19 23:13 17:10 21:16*

**აზოტი:** გამყრელიძე (12), ბერძენიშვილი (1), ბეჟანიშვილი, ბოისა (2), მინაშვილი (2), ტულუში (24), მარკოიშვილი (9), უგრეხელიძე (12), გოგობერიშვილი (2), ტუჯანი (8), ჭოჭუა (6), ცეკვავა (3)

**დინამო:** გულისაბედაშვილი (9), ნ. ნოზაძე (10), ბადრიძე (3), მურჯიკნელი (8), კოლუაშვილი (21), სიგუა (7), გაბაშვილი, ლაფანაშვილი

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, დავით არეშიძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

10 თებერვალი

თბილისი. ვერის ბაღი

**ავიამშენი 87:80 მაკაბი**

*22:15 14:19 29:18 22:28*

**ავიამშენი:** ნიკოლაძე (37), მოსეშვილი (4), კუდია (10), ბაბიაშვილი (23), სუხიშვილი (11); ლოსაბერიძე (2), როდუმტა

**მაკაბი:** დოლიძე (8), კორკოტაძე (7), ი. ჯგუნერაია (9), ს. შერმადინი (10), გ. შერმადინი (42); პირველაშვილი (4), ნინუა

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**თსუ 104:88 სტუ**

*17:22 34:21 25:23 28:22*

**თსუ:** არწივიძე (6), ბ. ბერიშვილი (7), ფანჩულიძე (15), მ. ბერიშვილი (9), ტყეშელაშვილი; შანიძე (17), ხეცურიანი (14), მათიაშვილი (13), ვეფხვაძე (6), მარხვაშვილი (5), ლეჟავა (12)

**სტუ:** ძიძიგური (2), კობრეიძე (11), დევიძე, მისურაძე (16), ახალკაცი (10); გ. ბარბაქაძე (17), ლ. ნოზაძე (9), ეძგვერაძე (13), ბაბუნაშვილი (8), სეფისკვერაძე (2)

მსაჯები: მაკა კუპატაძე, მალხაზ ანდღულაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

**ეროვნული** ჩემპიონატის მატჩებში რა აღარ გაუკეთებია მაკაბელ გიორგი შერმადინს — 20 მოხსნა, ათამდე დაფარება, ამდენივე პასი. 40-ქულიანი ზღვარის არაერთხელ დაძლევაზე აღარაფერს ვამბობთ, თუმც ის ერთხელაც ვერ გახდა ჟურნალისტთა ვერსიით ტურის საუკეთესო მოთამაშე.

ამის გამო „მაკაბის" თავკაც ჯამლეტ ხუხაშვილს არაერთხელ გასჩენია პრეტენზია, მაგრამ საუკეთესოს გამოვლენის ერთ-ერთი უმთავრესი და ვფიქრობთ, ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, გამარჯვებაა, ანუ, საუკეთესოს დამარცხებული გუნდიდან თითქმის არასდროს ირჩევენ. ეს რომ მოხდეს, მაშინ მოთამაშემ რაღაც განსაკუთრებული უნდა გააკეთოს, მეტოქე გუნდის წევრებზე ორი თავით მაღლა დადგეს. ასეთი რამ კი ჯერ არ მომხდარა, რომ „მაკაბის" მძლეველი გუნდის მოთამაშეები უსაშველოდ დაჩაგვრინებოდნენ ხუხაშვილის „შვილობილ" გიორგი შერმადინს.

გასულ ტურშიც ექნებოდათ „მაკაბის" ხელმძღვანელობას შერმადინის საუკეთესოობაზე პრეტენზია, რადგან „იაომ" (შერმადინის მეტსახელია) მართლაც კარგად ითამაშა — 42 ქულა, 10 მოხსნა და 6 პასი მოიხვეჭა. თუმც „მაკაბიმ" წააგო და ჟურნალისტებმაც საუკეთესოდ „ავიამშენის" გამთამაშებელი გიორგი ნიკოლაძე დაასახელეს, ვინაც 37 ქულა, 8 მოხსნა და 6 პასი მიითვალა. თანაც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ავიატორებს" ნიკოლაძემ მოაგებინა. „მაკაბი" საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე „ავიამშენს" 2 ქულით მიუახლოვდა და ისეთ იმტაზე იყო, გასამარჯვებლადაც გაიწევდა, მაგრამ ნიკოლაძემ ორი ზუსტი სამქულიანით ხუხაშვილის ბიჭებს ამის საშუალება არ მისცა.

„ავიამშენმა", როგორც სჩვევია, თავი არ შეაკლა სუსტ მეტოქეს და მძიმედ, თუმც მაინც გაიმარჯვა. „მაკაბისთან" და მისთანებთან კი, მაგრამ „ავიამშენს" ბობოლებთან ბრძოლა უკვე გაუჭირდება, რადგან აზერბაიჯანულ „ნტდ-დევონში" წასული დავით ბარბაქაძის სახით ლევან მოსეშვილის გუნდს სერიოზული ძალა მოაკლდა.

ტურის დარჩენილ მატჩებში [illegible] ტერესო არაფერი მომხდარა. [illegible] მხოლოდ [illegible] გაწია წინააღმდეგობა ტრავმებით დასუსტებულ თსუ-ს, მერე კი ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო. 17:22 წაგებული საწყისი ათწუთეულის შემდეგ თსუ-ს თავკაცმა ნუგზარ ჭეიშვილმა მოედანზე ტრავმამოშუშებული შიო ხეცურიანი შეუშვა და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა. სახელმწიფო უნივერსიტეტელებმა სწრაფი გარღვევებით და ზუსტი შორი სროლებით ღიდ შესვენებამდევე დაიბევეს სოლიდური უპირატესობა, რომელიც მატჩის ბოლომდე ხელიდან აღარ გაუშვიათ.

გასული ტურის მესამე მატჩი რუსთავში ერთი დღით ადრე, პარასკევს გაიმართა. ქვემოქართლელებს „დინამო" სტუმრობდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მატჩის შედეგი წინასწარ იყო ცნობილი. „აზოტი" ჩემპიონატს დაუმარცხებლად ლიდერობს და ცხრილის ქვედა ეშელონის წარმომადგენელთან შეხვედრაში სანერვიულო რომ არაფერი ექნებოდა, თავადაც კარგად მოეხსენებოდა. ჰოდა, ივარჯიშეს რუსთაველებმა და „დინამოს" სულ ღილინ-ღილინით მოუთავეს საქმე — ყველა მეოთხედში საშუალო სხვაობით იძლეს, რამაც საერთო ჯამში მათ გამარჯვებას სოლიდური სახე მისცა — 81:58.

**ირაკლი პერტაია**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 12 | 12 | 0 | +276 | 24 |
| ავიამშენი | 12 | 10 | 2 | +185 | 22 |
| თსუ | 12 | 8 | 4 | +176 | 20 |
| დინამო | 12 | 3 | 9 | -191 | 15 |
| სტუ | 12 | 3 | 9 | -213 | 15 |
| მაკაბი | 12 | 3 | 9 | -266 | 15 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

## ატლანტა ფინიქსს ფინია ეგონა
## ფაჩულიას ამარე არ აღარდებს




**ზაზა ფაჩულიამ** ბოლო ხანს ბევრი უტრიალა ორმაგ დუბლს — ხან კინკილა ქულა აკლდებოდა, ხან მოხსნა, ყოველთვის რაღაც მცირედი არ ჰყოფნიდა და ამ საორმაგდუბლო უიღბლობას წერტილი ამ პარასკევს დაუსვა, თანაც ვინმე უდღეურთან კი არა, არამედ დასავლეთისა და შესაბამისად მთელი ლიგის მატერორებელ „ფინიქს სანსთან".

მართალია, არიზონელ მზეებს თავიანთი „მამამზე" სტივ ნეში აკლდათ, მაგრამ კანადელი ჯადოქრის გარეშეც რომ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ, ბოლო მატჩებში მოპოვებული მათი სახელიანი გამარჯვებებიც ადასტურებს. თანაც სტუმარიცაა და სტუმარიც — ფინიქსში აღმოსავლეთ კონფერენციის ცხრილის დასალიერიდან წამოსული „ატლანტა" სტუმრობდა, ვისი დამარცხებაც მასპინძლებისთვის პოპკორნის ჭამასავით უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჯო ჯონსონს არ ეძინა...

ჯონსონი ის კაცია, „ფინიქსში" რომ აიდგა ფეხი და საყოველთაო სახელიც ამ გუნდში ბურთაობისას მოიხვეჭა. 2 წლის წინ ჯომ არიზონელები მიატოვა და უსახურ „ატლანტაში" ლიდერად მივიდა. ჰოდა, ჯონსონის დაუდგომლობით იზეიმეს „ქორებმა" მორიგი გასვლითი გამარჯვება, რომელიც მათთვის მიჯრით მეოთხე გამოდგა, ხოლო ასეთი შედეგი ატლანტელებს 1999 წლის შემდეგ არ ახსოვთ.

ჯონსონმა 32 ქულიდან ბოლო 17 გადამწყვეტ მეოთხედში ჩაუკალათა „ფინიქსს". უმნიშვნელოვანესი გამოდგა მისი და ჯოშ სმიტის სირენამდე 5 წუთით ადრე ჩაგდებული სამქულიანები, რომლებმაც ატლანტელებს დროის მოკლე მონაკვეთი 8:0 მოაგებინა და 103:96 დააწინაურა. ჯონსონმა საბოლოო ლახვარი მორიგი სამქულიანით ჩასცა ფინიქსელებს და ბეჩავ ატლანტელებს სიამაყის გრძნობა აღუძრა.

„გახარებული ვარ, აქ რომ ჩამოვედით და დავამარცხეთ დიდი გუნდი — თქვა ნამატჩევს ჯო ჯონსონმა — მათ არ ჰყავდათ სტივ ნეში და ეს სერიოზული დანაკლისია. ასეთი შანსის გამოყენება რომ შევძელით, ჩვენს დიდ მოტივაციაზე მიანიშნებს."

„ჩვენ ჯონსონი მიგვეძლეოდა წინ. მას დიდებული საღამო ჰქონდა და თავისი ენერგიით ჩვენც გვამარაგებდა" — აქო თანაგუნდელი ფინიქსელების დამარცხებაში 25-ქულიანი წლის დამდებმა ჯოშ სმიტმა.

ფაჩულია ამჯერადაც სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო თამაშში და ისევ აჯობა ხუთეულში მის ნაცვლად ფეხგადგმულ ლორენცენ რაიტს. ზაზამ დიდებულად ითამაშა ფარქვეშ და საამსეზონო პირადი რეკორდი დაამყარა მეტოქის ფარზე მოხსნებში — 8-ჯერ იყოჩაღა. ამას ფაჩულიამ 3 „ატლანტას" ფარქვეშ მოხსნილი ბურთიც მიაბა და ორმაგი დუბლიც გამოაცხო.

მართალია, უფრო მეტი ბურთი ჩააგდო და მოხსნა ზაზას ოპონენტმა ამარე სტუდემაიერმა, მაგრამ ქართველმა ცენტრმა მაინც მოიოხა გული, როცა ამ ოლსტარელ ვარსკვლავს მეორე მეოთხედში დააფარა.

**ირაკლი პერტაია**

9 თებერვალი

**ფინიქსი 111:120 ატლანტა**

**ფინიქსი:** ბარბოსა (19), ბელი (23), მერიონი (16), დიაუ (4), სტუდემაერი (29); ბენკსი (20), ჯონსი (5), ბურკი

**ატლანტა:** აივი (2), ჯონსონი (32), სმიტი (25), მ. უილიამსი (16), რაიტი (4); ჩილდრესი (19), **ფაჩულია** (26 წუთი, 10 ქულა, 11 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა, 1 დაფარება), კლაქსტონი (6), სტუდემაიერი (6), შ. უილიამსი

**ტორონტო 96:92 ლეიკერსი**

**ტორონტო:** ბოში (29 ქულა, 11 მოხსნა), პარკერი (18)

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (25), ევანსი (19)

**ორლანდო 106:104 სან ანტონიო**

**ორლანდო:** ნელსონი (31), ჰოვარდი (30)

**სან ანტონიო:** დანკანი (24 ქულა, 16 მოხსნა), ბერი (21)

**ინდიანა 96:102 დენვერი**

**ინდიანა:** დანლივი (23 ქულა 11 მოხსნა), გრეინჯერი (19)

**დენვერი:** ენტონი (34), ნახერა (18)

**ბოსტონი 78:92 ნიუ ჯერსი**

**ბოსტონი:** ვესტი (21), ჯეფერსონი (13)

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (21), უილიამსი (17)

**კლივლენდი 103:79 მაიამი**

**კლივლენდი:** ჯეიმსი (29), პიუზი (16)

**მაიამი:** ვეიდი (27), ონილი (14)

**ფილადელფია 89:90 კლიპერსი**

**ფილადელფია:** იგუდალა (22), დალემბერტი (14 ქულა, 15 მოხსნა)

**კლიპერსი:** კასელი (22), მობლი (17)

**შარლოტი 100:108 პორტლენდი**

*ძირითადი დრო 87:87*

**შარლოტი:** ვოლესი (30 ქულა, 15 მოხსნა)

**პორტლენდი:** რენდოლფი (40), ჯეკი (20)

**მინესოტა 97:105 მემფისი**

*ძირითადი დრო 92:92*

**მინესოტა:** ბლუნტი (25), გარნეტი (20 ქულა, 17 მოხსნა)

**მემფისი:** გაი (19), მილერი (17)

**ჰიუსტონი 74:95 დალასი**

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (20), ალსტონი (14)

**დალასი:** ჰოვარდი (22), ტერი (18)

**გოლდენ სტეიტი 123:121 ჩიკაგო**

*ძირითადი დრო 112:112*

**გოლდენ სტეიტი:** ჰარინგტონი (24), ჯექსონი (23)

**ჩიკაგო:** გორდონი (24), დენგი (23), ჰაინრიხი (22 ქულა, 10 პასი)

10 თებერვალი

**ტორონტო 92:98 დეტროიტი**

**ტორონტო:** ფორდი (17 ქულა, 11 პასი), ბარნარი (15)

**დეტროიტი:** ვოლესი (28), ჰამილტონი (21)

**ორლანდო 78:93 ნიუ ჯერსი**

**ორლანდო:** ჰოვარდი (25 ქულა, 12 მოხსნა), მილიჩიჩი (16 ქულა, 12 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (32), უილიამსი (12)

**მემფისი 99:114 ნიუ ორლეანი**

**მემფისი:** გასოლი (21 ქულა, 11 მოხსნა), გაი (14)

**ნიუ ორლეანი:** პოლი (23 ქულა, 11 პასი), ვესტი (22)

**მილუოკი 102:109 დენვერი**

**მილუოკი:** ბოიკინსი (26), ბელი (16)

**დენვერი:** ენტონი (29 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა), ილარიო (17 ქულა, 11 მოხსნა)

**შარლოტი 83:104 ჰიუსტონი**

**შარლოტი:** ფელტონი (16), ოკაფორი (15 ქულა, 12 მოხსნა)

**ჰიუსტონი:** ჰედი (17), მაკგრეიდი (16), მუტომბო (14 ქულა, 14 მოხსნა)

**იუტა 104:102 ნიუ იორკი**

*ძირითადი დრო 93:93*

**იუტა:** ოქური (29), უილიამსი (16 ქულა, 10 პასი)

**ნიუ იორკი:** კროუფორდი (29 ქულა, 10 მოხსნა), კარი (27)

**სიეტლი 93:114 საკრამენტო**

**სიეტლი:** ალენი (29), ლუისი (14), კოლისონი (14)

**საკრამენტო:** მარტინი (26), არტესტი (20)

# დევისის თასი 2007

ევროაფრიკული ზონის I ჯგუფი. 9-11 თებერვალი. თბილისი

# საქართველო 3:2 პორტუგალია

# დავრჩით!

## საქართველომ სამდღიანი პორტუგალია ორ დღეში ჩაატია

10 თებერვალი

*ირაკლი ლაბაძე, ლადო ჩიხლაძე - ფრედერიკო ჟილი, გასტონ ელიაში*
7:6(8:6) 6:7(7:9) 7:6(7:4) 5:7 6:3

11 თებერვალი

*გიორგი ჭანტურია — პედრო სოუზა* 2:6 4:6
*გიორგი ხრიკაძე — გასტონ ელიაში* 3:6 6:7(4:7)

**წლის** დასაწყისია, დევისის თასის სეზონი ეს-ეს არის დაიწყო, საქართველოს ნაკრებმა კი უკვე მთელი სეზონის საქმის მომთავრება მოასწრო. ევროაფრიკული ზონის პირველი ჯგუფის დებიუტანტი გუნდის მიზანი ჯგუფში ადგილის შენარჩუნება იყო და ამ მიზანს გელა ელერდაშვილის ოთხეულმა ამ უქმეებზე სპორტის სასახლეში მიაღწია.

პირველ დღეს მოპოვებული ორქულიანი უპირატესობის შემდეგ საქართველოს პორტუგალიის დასამარცხებლად ქულაც ჰყოფნიდა, წინ კი სამი თამაში ელოდა და მასპინძლების საბოლოო გამარჯვებაში ეჭვიც აღარავის ეპარებოდა.

მასპინძლებმა საქმე მეორე დღესვე მოამთავრეს. ირაკლი ლაბაძემ და ლადო ჩიხლაძემ ერთეულებში აღებულ ქულებს ერთი ერთობლივი გამარჯვებაც მიამატეს და საკვირაო თამაშებს ფორმალური ხასიათიღა დაუტოვეს. ქართველთა კაპიტნისგან განსხვავებით, პორტუგალიელმა პედრო კორდეირუმ წყვილებში პირველ-მეორე ნომრები აღარ დააყენა, ნაკრების ლიდერ ფრედერიკო ჟილს რუი მაჩადოს ნაცვლად გასტონ ელიაში შეუამხანაგდა. ძნელი სათქმელია, ამით უკეთესი დუეტი შექმნა თუ ვერა, მაგრამ ფაქტია, მისმა შეგირდებმა მასპინძლებს გვარიანი წინააღმდეგობა გაუწიეს.

ოთხსაათიანი და ხუთსეტიანი შეხვედრის პირველი სამი სეტის ბედი ტაიბრეიკმა გადაწყვიტა. პირველი და მესამე ჩვენებურებმა მოიგეს, მეორე — პორტუგალიელებმა. აქვე ვთქვათ, სტუმარ-მასპინძლებმა ყველა ქულა საკუთარ მოწოდებაზე მოინაგრეს და ერთმანეთს თითო ბრეიკიც ვერ დასტყუეს. ტრადიცია მეოთხე სეტის მიწურულს კორდეირუს ბიჭებმა დაარღვიეს — 6:5 დაწინაურდნენ და ორიოდ წუთში საერთო ანგარიშიც გაათანაბრეს.

მეხუთე სეტში, როგორც წესი, ტაიბრეიკი აღარ იმართება და თამაში მანამ გრძელდება, სანამ ვინმე ორი ქულით არ დაწინაურდება. ამის გათვალისწინებით, ბევრი გულშემატკივარი ლამის ლამის სათევად გაემზადა, გადამწყვეტი სეტიც ხომ ტრადიციულად დაიწყო, თუმცა 2:3-ზე ელიაშის მოწოდება საჩვენოდ დასრულდა და მატჩის ბედიც იქვე გადაწყდა. ლაბაძე-ჩიხლაძემ მოძლევნო, საკუთარი გეიმიც აიღეს, 5:2 დაწინაურდნენ და ამხელა უპირატესობას ხელიდან, აბა, როგორღა გაუშვებდნენ.



ლადო ჩიხლაძე



ირაკლი ლაბაძე

გუშინ კი ელერდაშვილმაც და კორდეირუმაც ნაკრების ჭაბუკ წევრებს დაუთმეს ჩოგანი და კორტი. გიორგი ჭანტურია და გიორგი ხრიკაძე 18-წლამდელებში ხელწამოსაკრავნი ნამდვილად არ არიან, თუმცა პედრო სოუზასა და გასტონ ელიაშისგან განსხვავებით, უფროსებში ნაკლები გამოცდილება აქვთ და ჯერ მსოფლიოს კლასიფიკაციაშიც არ გამოჩენილან. ორივე გიორგი ორ-ორ სეტში დამარცხდა. ხრიკაძემ სამსეტიანი ბრძოლის შანსი ელიაშთან ტაიბრეიკში დაკარგა.

*ლეილა მესხი, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:*

*— მართალია, გამარჯვება ორ დღეში გავინაღდეთ და წესით, ჭანტურია-ხრიკაძეს ფსიქოლოგიური ტვირთი მოეხსნათ, მაგრამ თავისი შესაძლებლობების წარმოჩენა მაინც ვერ შეძლეს. ამ ბიჭებს ასეთ დონეზე ჯერ არ ეთამაშათ. აშკარად ეტყობოდათ, ნერვიულობდნენ, მაგრამ არა უშავს. ნელნელა თავდაჯერებაც შეემატებათ და მათ ნამდვილ ძალას დავინახავთ.*

*...პორტუგალიის დამარცხება, ცხადია, თავიდანვე რეალურად დავისახეთ მიზნად, მაგრამ სიმართლე ვითხრათ, არ მეგონა, საქმეს ორ დღეში თუ მოვამთავრებდით. ლაბაძემ და ჩიხლაძემ მშვენივრად ითამაშეს და მადლობის მეტი რა მეთქმის.*

*...პირველ ჯგუფში დარჩენა აქედანვე გავინაღდეთ. უფრო ზემოთ ასასვლელად მორიგი ნაბიჯის გადადგმას კი გაზაფხულზე შევეცდებით. 9-11 აპრილს სერბეთის სტუმრად ვეთამაშებით. ძლიერი ნაკრებია და, ცხადია, ფავორიტიც ის იქნება, მაგრამ დასაკარგავი არაფერი გვაქვს და ბოლომდე უნდა ვებრძოლოთ.*

სერბეთს საქართველოს ნაკრები შეიძლება, ლიდერის გარეშე ესტუმროს. ირაკლი ლაბაძე ახლო მომავალში მაჯის ოპერაციას გაიკეთებს და, სავარაუდოდ, კორტს სამი თვით ჩამოშორდება. თუმცა გუშინ ამაზე რომ ვკითხეთ, აქეთ დაგვაიმედა — მარჯვენა ხელი არც ამჯერად დამიტვირთავს და თუ საჭირო იქნება, ნაოპერაციებიც ვითამაშებო.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# მსოფლიოს სუპერთასი

პარიზი. საფრანგეთი. 10-11 თებერვალი

# ქართველები პარიზულ ვაკუუმში

ამ უქმეებზე მსოფლიოს უძლიერესი ძიუდოისტები ფრანგულ ტატამზე გავიდნენ. ტრადიციულად, პარიზის სუპერთასი ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ უმთავრეს მოსამზადებელ ეტაპად მიიჩნევა და მასზე ყველა ევროქვეყნის ნაკრები ძირითადი შემადგენლობით ჩადის. პირველობის შემდეგ კი ერთობლივი ვარჯიშის კვირეული ეწყობა.



AFP

ილიას ილიადისმა (მარჯვნივ) პარიზში ვერცხლით მოიჭიდავა

საქართველოს ნაკრები პარიზს თერთმეტკაციანი შემადგენლობით ესტუმრა. მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი სავარაუდოდ, სწორედ ამ თერთმეტიდან შეარჩევს საევროპო შიდეულს, თუმცა ვინ იცის.. პარიზის ტურნირზე ქართველების გამოსვლიდან გამომდინარე, დასკვნის გაკეთება ძალიან ძნელია.

ხაბარელის გუნდიდან კვარცხლბეკს ერთმაც ვერ უწია. საუკეთესო შედეგი — მეშვიდე ადგილი ნესტორ ხერგიანმა (60კგ), მინდია ხომიზურმა (66კგ), გიორგი ბაინდურაშვილმა (81კგ) და ზვიად ხანჯალიაშვილმა (+100კგ) აჩვენეს. ევროპის ჩემპიონი ზაზა კედელაშვილი და მსოფლიოს აბსოლუტური პრიზიორი ადამ ოქრუაშვილი კი სულაც ათეულს მიღმა დარჩნენ. თუმცა აქვე გეტყვით, რომ კედელაშვილმა არა ჩვეულ წონაში, 66 კილოგრამში, არამედ ერთით მაღლა — 73-ში იჭიდავა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**60კგ**
1 ნიჰათ შიხალიზადე (აზერბაიჯანი)
2 ტაცუაკი ეგუსა (იაპონია)
3 დიმიტრი დრაგინი (საფრანგეთი)
3 მინ-ჰო ჩოი (სამხრეთ კორეა)

**66კგ**
1 ჰიროუკი აკიმოტო (იაპონია)
2 ლეანდრო კუნია (ბრაზილია)
3 იორდანის არენსიბია (კუბა)
3 კვანგ სუბ კიმი (სამხრეთ კორეა)

**73კგ**
1 იუსუკე კანამარუ (იაპონია)
2 ელნურ მამადლი (აზერბაიჯანი)
3 დანიელ ფერნანდესი (საფრანგეთი)
3 გეორგი გეორგიევი (ბულგარეთი)

**81კგ**
1 ჟილომ ელმონი (ჰოლანდია)
2 აბერაჰმან ბენამადი (ალჟირი)
3 მეჰმან აზიზოვი (აზერბაიჯანი)
3 ოლე ბიშოფი (გერმანია)

**90კგ**
1 ხასანბი ტაოვი (რუსეთი)
2 ილიას ილიადისი (საბერძნეთი)
3 მარკ ჰიუზინგა (ჰოლანდია)
3 ჰიროში იზუმი (იაპონია)

**100კგ**
1 დანიელ ჰადფი (უნგრეთი)
2 სერგეი კუხარენკა (ბელარუსი)
3 ორეიდას დესპაინი (კუბა)
3 ტუვშინ ბაიარი (მონღოლეთი)

**+100კგ**
1 კოსეი ინოე (იაპონია)
2 იური რიბაკი (ბელარუსი)
3 ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი)
3 ტედი რინერი (საფრანგეთი)

## დევისის თასი 2007
### მსოფლიოს ჯგუფი. პირველი წრე

# არც ყოჩი და არც ვაცი

## უნადალ-ფედერერო კორტზე ლოპეს-ვერდასკოები ათამაშდნენ



AFP

გერმანელები ტომი ჰაასის მეთაურობით ზეიმობენ

| | |
|---|---|
| ჩილე 2:3 რუსეთი | ჩეხეთი 1:4 აშშ |
| საფრანგეთი 4:1 რუმინეთი | შვეიცარია 2:3 ესპანეთი |
| გერმანია 3:2 ხორვატია | ბელარუსი 2:3 შვედეთი |
| ბელგია 3:2 ავსტრალია | ავსტრია 1:4 არგენტინა |

**დევისის თასის** 2007 წლის გათამაშების პირველი წრის მშვენებად შვეიცარია-ესპანეთის, უფრო სწორად კი როჯერ ფედერერ-რაფაელ ნადალის ჯახი მოიაზრებოდა, მაგრამ ამ უკვე კლასიკად ქცეული დაპირისპირების ხილვის იმედი „მხიარულმა როჯერმა“ ყველას ორიოდე კვირის წინ მოუსპო, როცა ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა. ამ პირობებში პირინეელები უპირობო ფავორიტები იყვნენ და წესით, არ უნდა გასჭირვებოდათ ეტაპის გადალახვა, მათაც პრობლემები რომ არ გასჩენოდათ — ესპანელებს უსიამოვნო სიურპრიზი ზედ შეხვედრის წინ მოუმზადა ბედმა, როცა ნადალმა ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და ესპანელებიც კორტზე ულიდეროდ გავიდნენ.

ყველაფრის მიუხედავად უპირატესობა მაინც ესპანელთა მხარეს იყო, რადგანაც ისინი ნადალის შემცვლელს ავად თუ კარგად ყოველთვის მოძებნიან და უშანსოდ არავისთან იქნებიან, რასაც ვერ ვიტყვით შვეიცარიელებზე — ფედერერის გარდა ისინი ხომ მხოლოდ მარკო ჩიდუნელისა და სტანისლას ვავრინკას იმედზე არიან, რომლებიც ჯერაც ვერაფრით გასცდნენ „პერსპექტიულის“ სტატუსს. თანაც ვავრინკა ახლა საერთოდ არ იყო ფორმაში, საათებითა და ბანკებით ცნობილი ქვეყნის ნაკრების კაპიტანი მარკ როსე მთლად უცნობი შტეფან ბოლის იმედზეღა დარჩა.

ესპანელებმა კი კორტზე ფერნანდო ვერდასკო და ფელიციანო ლოპესი გამოაგოგმანეს, ეს წყვილი კი შვეიცარიელებს გვერდით ნამდვილ თანავარსკვლავედად მოჩანს. შედეგმაც არ დააყოვნა — ცაცია პირინეელებმა თავისი საქმე ხუთიანზე შეასრულეს და ალპები იოლად გადალახეს.

ყველაზე საინტერესო ჯახი გერმანიაში შედგა, სადაც ტომი ჰაასი და კომპანია შარშანწინდელ ჩემპიონ ხორვატებს დაუხვდნენ. მასპინძლები არ შეუშინდნენ უძლიერესად მომწოდებელ ივან ლიუბიჩიჩს და მარიო ანჩიჩს და მაინც ჰარდზე არჩიეს თამაში. არც შემცდარან — ჰაასმა ბოლოს და ბოლოს იტვირთა ლიდერობა და გერმანელებმაც სენსაცია თუ არა, მოულოდნელობა ნამდვილად გამოაცხვეს — ბალკანელები მაინც დაჩოგნეს. განსაკუთრებით ალექსანდერ ვასკესა და მიხაელ კოლმანის წყვილის მიერ ლიუბიჩიჩ-ანჩიჩის დევისის თასზე აქამდე დაუმარცხებელი წყვილის ძლევაა ხსენების ღირსი, რაც დაპირისპირებაში გადამწყვეტი მომენტი იყო. ჰაასმა ხორვატთა ორივე ლიდერი დასცა და გერმანიას დევისგზა გაუგრძელა. ლიუბიჩიჩმა კი კაპიტულაცია გამოაცხადა — სანაკრებო კარიერას ვამთავრებო.

საკმაოდ ადვილად დასცეს ფრანგებმა მათთან სტუმრად ჩასული რუმინელები და ეს დიდწილად ახალგაზრდა რიშარ გასკეს დიდებული გარჯის ხარჯზე მოახერხეს, რომელმაც ერთეულთა თანრიგის ორივე შეხვედრა მოუგო ვიქტორ ჰანესკუსა და ანდრეი პაველს.

ბელარუსებმა კი საკუთარი ტრიბუნებისა და „სათაყვანებელი“ პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს თვალწინ ვერაფერი დაუჩოგნისპირეს შვედებს. სკანდინავთა შორის თავი რობინ სოდერლინგმა გამოიჩინა, რომელმაც გადამწყვეტი მესამე ქულა ხუთსეტიან თრილერში მაქს მირნის გამოგლიჯა.

**ბახა ლომაშვილი**

# ვეღარ გაუჭრათ ფრანგულმა



AFP

ნადია პეტროვა

**ქალები**
პარიზი. საფრანგეთი
ხალიჩა (დარბაზი)
საპრიზო 600 000 $

**ნახევარფინალი**
ნადია პეტროვა (4, რუსეთი) — ამელი მორესმო (2, საფრანგეთი) 5:7 6:4 7:6; ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) — ჟუსტინ ენინი (1, ბელგია) 7:6 6:4

**ფინალი**
პეტროვა — შაფაროვა 4:6 6:1 6:4

**პარიზის** ტურნირზე მოვლენები ისე წარიმართა, რომ სავარაუდო სუპერჯახის მოლოდინში დიდი თუ პატარა ხელებს იფშვნეტდა: ყველას ჟუსტინ ენინ — ამელი მორესმოს ჩოგნაობის მოლოდინში დადიოდა კორტზე. მაგრამ ლუსი შაფაროვამ და ნადია პეტროვამ ყველა პროგნოზი თავდაყირა დააყენეს. მათ რიგრიგობით გამოაცხვეს სენსაციები და თანამედროვე ჩოგბურთის ბობოლები ერთმანეთის მიყოლებით მოჩოგნეს კორტებიდან.

განსაკუთრებით 19 წლის ცაცია ჩეხის დიდებული გამოსვლაა გამოსარჩევი, რომელმაც ერთმანეთის მიყოლებით დაიფრინა ნიკოლ ვაიდიშოვა, სვეტლანა კუზნეცოვა და ბოლოს ენინიც კი. თუმც შაფაროვას ფინალში სათამაშოდ ძალები აღარ ეყო და ამიტომაც პირველი სეტის მოგების შემდეგ კორტზე ძლივს დაიზლაზნებოდა.

პეტროვამ დაიმსახურა ეს გამარჯვება — თუნდაც მორესმოს დამარცხების გამო, როცა გოროზ ფრანგთან პირველი სეტის წაგებამ ვერ გატეხა და არც ტრიბუნების გამაყრუებულმა ჟრიამულმა დააფრთხო. ის კი არა, მესამე პარტიაში რუსმა ორი მატჩ-პოინტი გაანეიტრალა და ასე ჩააქრო მასპინძელთა მთავარი იმედი.

ფინალში პეტროვას უპირატესობა უკანასკნელ ორ სეტში მართლაც ძალიან შთამბეჭდავი იყო და ახალგაზრდა ჩეხს აკი მალევე მოუთავა საქმე. შაფაროვამ შეძლო და გადამწყვეტ პარტიაში 1:5-დან მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ პეტროვამ აღარ მოინდომა საქმის გაჯანჯლება და რამდენიმე კარგი კომბინაციის შემდეგ წლეულს პირველი ტიტული მოიჩოგნა.

**ბახა ლომაშვილი**

## რეგულარული ჩემპიონატი

NHL

**9 თებერვალი**

**რეინჯერსი 5:0 ტამპა**
*2:0 2:0 1:0*
1:0 ორი (5), 2:0 ჰოსა (12), 3:0 ჰოლვეგი (29), 4:0 ეივერი (35), 5:0 იაგრი (44)

**ედმონტონი 2:1 ჩიკაგო**
*1:0 0:0 1:1*
1:0 ტორესი (5), 2:0 ჰორკოფი (24), 2:1 ჰავლატი (40)

**10 თებერვალი**

**ვანკუვერი 3:2 ატლანტა**
*1:0 2:1 0:1*
1:0 მორისონი (2), 2:0 ნესლუნდი (30), 3:0 მორისონი (30), 3:1 სიმი (34), 3:2 კოვალჩუკი (55)

**ვაშინგტონი 2:5 რეინჯერსი**
*1:1 0:1 1:3*
0:1 როზივალი (12), 1:1 ოვეჩკინი (19), 1:2 ჰოსა (30), 2:2 კლარკი (43), 2:3 როზივალი (45), 2:4 სტრაკა (47), 2:5 სტრაკა (60)

**ბოსტონი 4:3 აილენდერსი**
*2:1 0:1 1:1 0:0 (1:0 ბულიტები)*
0:1 კოზლოვი (4), 1:1 შტურმი (8), 2:1 ბერჟერონი (12), 2:2 სილინჯერი (21), 2:3 შატანი (44), 3:3 შტურმი (52)

**ბუფალო 3:2 კალგარი**
*0:0 1:1 1:1 0:0 (1:0 ბულიტები)*
0:1 ჰუსელიუსი (24), 1:1 ვანეკი (37), 1:2 მოსი (48), 2:2 ბრიარი (57)

**მონრეალი 3:5 ოტავა**
*0:2 2:1 1:2*
0:1 კომრი (3), 0:2 კელი (11), 1:2 ბეგინი (26), 2:2 რაიდერი (30), 2:3 რედენი (37), 2:4 ფიშერი (41), 2:5 სპეცა (44), 3:5 მარკოვი (46)

**ფილადელფია 4:3 სენტ ლუისი**
*0:0 2:2 1:1 1:0*
0:1 სტემპნიაკი (22), 1:1 კარტერი (26), 2:1 რიჩარდსი (30), 2:2 ტკაჩუკი (38), 2:3 ბაქსი (47), 3:3 განიე (56), 4:3 განიე (61)

**ფლორიდა 5:2 ფინიქსი**
*2:0 1:0 2:2*
1:0 ჰორტონი (10), 2:0 იოკინენი (13), 3:0 რობერტსი (35), 4:0 ჟელინა (42), 4:1 სიოსტრომი (47), 5:1 გრეტონი (48), 5:2 ბალარდი (57)

**ნეშვილი 1:4 ლოს ანჯელესი**
*0:0 0:3 1:1*
0:1 კოპიტარი (21), 0:2 უილსი (22), 0:3 კოპიტარი (32), 0:4 კამალერი (47), 1:4 ჰამჰუისი (51)

**მინესოტა 5:4 კაროლინა**
*4:2 0:1 1:1*
0:1 უილიამსი (1), 1:1 პერიში (3), 2:1 ბუშარი (4), 3:1 გაბორიკი (11), 4:1 გაბორიკი (13), 4:2 უიტნი (14), 4:3 სტაალი (39), 5:3 დემიტრა (43), 5:4 ლედი (44)

**დალასი 1:0 ანაჰაიმი**
*0:0 0:0 1:0*
1:0 იოკინენი (45)



იარომირ იაგრი 1500-იანთა კლუბში გაწევრიანდა

# პინგვინები დაფრთიანდნენ

**ნჰლ-ში** ახალი დინასტია იბადება? ყოველ შემთხვევაში, ბევრი ასე თვლის, როცა დღევანდელ „პიტსბურგს“ უყურებს, რომლის ახალგაზრდობაც დღითი დღე ამტკიცებს, რომ მომავლისთვის არაფრის გადადებას არ ცდილობს და უკვე დღესვე შეუძლია უმაღლესი მიზნებისვის ბრძოლა. „პინგვინები“ ხომ ოლ სტარის შემდეგ საუკეთესონი არიან მთელს ლიგაში — უკანასკნელი 13 მატჩიდან 11 მოიგეს კიდეც.

„პიტსბურგმა“ გუშინ სუპერდრამატულ შეხვედრაში გასვლაზე „ტორონტო“ დასცა და ეს ორი ახალბედის — 18 წლის ჯორდან სტაალისა და 20 წლის ევგენი მალკინის შეთამაშებული წყვილის მეცადინეობით მოახერხა. უჩვეულოდ ჩუმად იყო სიდნი კროსბი, რომელმაც მხოლოდ ერთი შედეგიანი გადაცემა მიითვალა. სამაგიეროდ სტაალმა შეასრულა კარიერაში პირველი ჰეთ თრიქი (თან გადამწყვეტი შაიბა ოვერტაიმში გაიტანა), მალკინმა კი სტაალის ყველა შაიბაში უშუალოდ მონაწილეობდა და თვითონაც გაიტანა. ასე რომ, „პიტსბურგს“ უკვე სამი 20 წლის ან უმცროსი 20-შაიბიანი მოთამაშე ჰყავს — მალკინი (27), კროსბი (25) და სტაალი (23). ასეთივე მიღწევით ნჰლ-ის ჯერჯერობით უკანასკნელ დინასტია „ედმონტონიღა“ თუ დაიკვეხნის, რომლის შემადგენლობაშიც 1981-82 სეზონში იგივე შედეგი ჰქონდათ „დიად“ უეინ გრეცკის, მარკ მესიესა და პოლ კოფის.

აი, „ნიუ იორკ რეინჯერსის“ ჩეხი სუპერფორვარდი იარომირ იაგრი კი მხოლოდ მეთორმეტე ჰოკეისტი გახდა ნჰლ-ის ისტორიაში, 1 500 ქულიან ზღვარს რომ გადააბიჯა. ჩეხმა ამას თავის ყოფილ გუნდ „ვაშინგტონთან“ შეხვედრაში მიაღწია, როცა ტრიბუნების მუდმივი სტვენა-გინების მიუხედავად, მშვენივრად ულიდერა „რეინჯერებს“ და სამი საგოლე გადაცემა გააკეთა, რის შემდეგაც 1 501 ქულა დაუგროვდა.

„რამდენი ხანია, რაც ნჰლ-ი არსებობს? 100 წელზე მეტი, არა? ჰოდა, საუკეთესო თორმეტში მოხვედრა მართლაც დიდი შედეგია და ძალიან ბედნიერიც ვარ“ — თავის მიღწევით ამაყობდა იაგრი. სხვათა შორის, იგივე ზღვარს წლეულს კიდევ ერთმა ჰოკეისტმა, „კოლორადოს“ ლეგენდარულმა კაპიტანმა ჯო საკიკმა გადააბიჯა.

დღის სენსაციად კი აუტსაიდერ და 30 გუნდიდან 29-ზე მყოფი „ლოს-ანჯელესის“ მიერ გასვლაზე ლიდერ „ნეშვილის“ წაქცევა იყო. „მეფეებმა“ მოულოდნელად პირწმინდად დაჩაგრეს „მტაცებლები“, რაშიც უდიდესი წვლილი ახალბედა სლოვენიელ ანცე კოპიტარს მიუძღვის.

**ბახა ლომაშვილი**

მსოფლიოს ჩემპიონატი ანტხოლც-ანტერსელვა. იტალია. 3-11 თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# EIN, ZWEI, DREIN

## გერმანელებმა პოდიუმი გაისიგრძეგანეს

**გერმანული** ნიშნით ჩაიარა ქალთა მას-სტარტმა — პოდიუმის სამივე საფეხურზე გერმანელები შემოსკუპდნენ და კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი თავიანთი ბიატლონური სკოლის სიდიადეს.

ისე კი ძალთა განლაგება შეიძლება სულ სხვანაირი ყოფილიყო, ტრასაზე ზე-სწრაფი შვედი ანა-კარინ ოლოფსონი რომ გამოსულიყო. თუმც სკანდინავი შეუძლოდ გამხდარა, ვერც შაბათს ისრიალა და წესით, მისი ცუდად ყოფნის გამო ვერც შვედეთის ნაკრებმა უნდა შეძლოს ქალთა ესტაფეტაში გამოსვლა.

ჩვენ კი ისევ მას-სტარტს მივუბრუნდეთ, რომელიც გერმანელთათვის არცთუ სახარბიელოდ დაიწყო, რადგანაც თავიდან სასროლეთთან მაინდამაინც კარგად ვერ გრძნობდნენ თავს, რის გამოც ლიდერობა ინდივიდუალური რბოლის მომგებმა და დღესდღეობით ქალთა შორის უპირველესმა ჩუბინმა ნორვეგიელმა ლინდა გრუბენმა იგდო ხელთ. მას უკან რუსები — ნატალია გუსევა და ეკატერინა იურევა ჩაუდგნენ.

ყველაფერი სასროლეთთან მესამე მისვლისას შეიცვალა, როცა მიმდინარე მსოფლიო თასის ერთ-ერთმა ლიდერმა ანდრეა ჰენკელმა გაიხსენა, რომ ერთ დროს ძლიერი სნაიპერის სახელი ჰქონდა დაგდებული. აქედან მოყოლებული, მანამდეც ბლომად ტიტულების მომგები გერმანელი თავისი მორიგი ოქროსკენ გაფრინდა.

ჰენკელს კვალში თავისიანი, მარტინა გლაგოვი ჩაუდგა და კარგა ხანს კვალში სდია, ერთი პირობა გადაუსწრო კიდეც, მაგრამ უკანასკნელ მეტრებზე ძალა აღარ´ეყო. თანამემამულეებს ზურგი ახალგამოჯანმრთელებულმა კატი ვილჰელმმა გაუმაგრა, რომელმაც ბოლო წრეზე რუსები უკან ჩამოიტოვა, მაგრამ მიუხედავად ბევრი მცდელობისა, ჰენკელ-გლაგოვის წყვილს მაინც ვერ დაეწია.

საბოლოოდ გერმანელები პოდიუმზე სწორედ ასე განლაგდნენ — ოქრო ჰენკელს ერგო, ვერცხლი — გლაგოვს და ბრინჯაო კი ვილჰელმს. კარგა ხანს ლიდერთა შორის იყო ჩემპიონატის აღმოჩენა, უკვე ორი ოქროს მომგები, გერმანელთა აწმყო და მომავალი, 20 წლის მაგდალენა ნოინერი, მაგრამ მან სასროლეთთან მეოთხედ მისვლისას სამჯერ ააცდინა და თავისთავად ყველანაირი შანსი დაკარგა.

**ჭაბა ლომაშვილი**



მარტინა გლაგოვი, ანდრეა ჰენკელი და კატი ვილჰელმი

### ქალები

**მას-სტარტი 12,5 კმ (4 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | 37 წთ13,8 წმ (2 აცდენა) |
| 2. მარტინა გლაგოვი (გერმანია) | +4,6 (1) |
| 3 . კატი ვილჰელმი (გერმანია) | +10,6 (2) |
| 4. ნატალია გუსევა (რუსეთი) | +20,8 (1) |
| 5. ეკატერინა იურევა (რუსეთი) | +28,2 (0) |

# რუსული თოფი მიზანში სცემს



რუსული კვარტეტი — ივან ჩერეზოვი, მაქსიმ ჩუდოვი, დმიტრი იაროშენკო და ნიკოლაი კრუგლოვი

**ჯერ კიდევ** მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყების წინ იყო ცნობილი, რომ ერთადერთი დისციპლინა, რომელშიც რუსებს ოქროს იმედი ექნებოდათ, ესტაფეტა იყო. როგორც ჩანს, ამას სლავებიც კარგად ხვდებოდნენ და შაბათის გუნდური რბოლისთვის მაგრადაც გაწყვენენ. სწორედ ასე შეიძლება აიხსნას რუსთა თითქმის აუცდენელი ხელჩუბინობის ამბავი, რომლის წყალობითაც მათ ამ ჩემპიონატზე პირველად შეძლეს პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე ასვლა.

რუსები თავიანთ სნაიპერულ თვისებებზე რომ იქნებოდნენ დამოკიდებული, ეს თავიდანვე არ წარმოადგედა საიდუმლოს. ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს ოლე-ეინარ ბიორნდალენის ან მიხაელ გრაისის მაგვარი სპრინტერები — არ მოსჭარბებიათ კი არა — სულ არ ჰყავთ, ასე რომ სისწრაფეში დანაკლისის ანაზღაურება ხელაუცდენელი სროლით უნდა ეცადათ. ამ მხრივ სლავებმა ყველა მოლოდინს გადააჭარბეს — რუსთა ოთხეულს მხოლოდ ერთი დამატებითი ტყვიის გამოყენება დასჭირდა და რა გასაკვირია, რომ მათი დამწევი არავინ აღმოჩნდა.

მით უმეტეს, რომ რუსთა მთავარი კონკურენტები სასროლეთთან — რბილად რომ ვთქვათ — დამაჯერებლები ვერ იყვნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს გერმანელებმა, რომლებსაც 13 დამატებითი ტყვიის გარდა ორი საჯარიმო წრეზე წამოსვლა მოუხდათ. ნაკრები უგამოცდილესმა რიკო გროსმა და ახალგაზრდა მიხაელ როშმა დაალალატეს, რომლებაც აშკარად ვერ შეძლეს ნერვების მოთოკვა. ეს განსაკუთრებით საწყენი უკვე ლეგენდად ქცეული გროსისთვის იყო, რომელიც თავის უკანასკნელ ჩემპიონატზე გამოდიოდა — რიკო წლეულს სპორტიდან მიდის და ძალიან უნდოდა, თან ოქრო წაეყოლებინა, მაგრამ...

ნორვეგიელებს კი ვერც ბიორნდალენმა უშველა — ამ ზეადამიანს თავისიანთა შორის ბოლოს უნდა ერბინა, მაგრამ ამ დროისთვის, გერმანელთა მსგავსად, საჯარიმო წრეზე წასულმა ფროდე ანდერსენმა თავისი ნაკრების ლიდერს იმხელა ჩამორჩენა მიუტანა, რომ დიდზე დიდმა ოლემაც კი ვერ შეძლო ნიკოლაი კრუგლოვის დაწევა.

ბიორნდალენს ერთი პირობა კი წამოეწია გრაისი და თითქოს ვერცხლისთვის ნამდვილი ბრძოლაც უნდა გამართულიყო, მაგრამ გერმანელმა თავისივე ტემპს ვერ გაუძლო და ამის გამო ნორვეგიელებმა ძალიან დამაჯერებლად დაიკავეს მეორე ადგილი.

ესტაფეტის კიდევ ერთ სავარაუდო ფავორიტ ფრანგებს შანსები რბოლის დილას მოესპოთ, როცა მათ ლიდერ რაფაელ პუარეს სიცხემ აუწია. რადგანაც გალებს პუარეს ღირსეული შემცვლელი არ ჰყავთ, ამიტომაც მხოლოდ მეათე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

**ჭაბა ლომაშვილი**

### კაცები

**ესტაფეტა 4X7,5 კმ (4X2 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. რუსეთი (ივან ჩერეზოვი, მაქსიმ ჩუდოვი, დმიტრი იაროშენკო, ნიკოლაი კრუგლოვი) | 1სთ 34 წთ 36,16 წმ (0 საჯარიმო წრე+1 დამატებითი ვაზნა) |
| 2. ნორვეგია (ჰალვარდ ჰანევოლდი, ლარს ბერგერი, ფრუდე ანდერსენი, ოლე-ეინარ ბიორნდალენი) | +1.00,5 (1+11) |
| 3 . გერმანია (რიკო გროსი, მიხაელ როში, სვენ ფიშერი, მიხაილ გრაისი) | +1.32,5 (2+13) |



მსოფლიოს თასი

ვილინგენი. გერმანია

# იაკობის სენი

## ნორვეგიელი არავის ახარებს



**ანდერს იაკობსენის** დაბრუნება და მორიგი, სეზონში უკვე მესამე ეტაპის მოგება ერთი იყო. საერთო ჩათვლის ლიდერმა ნორვეგიელმა წინა ეტაპი გამოტოვა და ავსტრიელი ვუნდერკინდი გრეგორ შლირენცაუერი თითქოს მიუახლოვდა კიდეც, მაგრამ გერმანულ ვილინგენში იაკობსენმა კვალავაც განიმტკიცა ლიდერობა, როცა 283,1 ქულა დააგროვა და ტრიბუნების ფავორიტ მიხაელ ურმანს გადაასწრო. გერმანელი მართლაც დიდებულად გამოვიდა და ეგებ პირველ ადგილსაც წაპოტინებოდა, მაგრამ იაკობსენი პირველ ცდაზე 148 მეტრზე გაფრინდა და ამით მოხსნა ყველანაირი კითხვა გამარჯვებულის თაობაზე.

თუმც დღის მოვლენად მაინც სლოვენიელი იერნეი დამიანი იქცა, რომელმაც საბოლოოდ მესამე ადგილი დაიკავა.

იაკობსენის წისქვილზე იმანაც დაასხა წყალი, რომ „ჰარი პოტერად“ წოდებულ შლირენცაუერს ორი ნახტომიდან ერთიც არ გამოუვიდა — თინეიჯერი ავსტრიელი მხოლოდ მეჩვიდმეტე ადგილს დასჯერდა. ვერ იყო თავის სიმაღლეზე პოლონელი ვეტერანი ადამ მალიშიც, რომელსაც მეექვსე ადგილი ერგო.

**ჭაბა ლომაშვილი**

**დიდი ტრამპლინი. HS 140**

| | |
|---|---|
| 1. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) | 283.1 ქულა |
| 2. მიხაელ ურმანი (გერმანია) | 276.2 |
| 3. იერნეი დამიანი (სლოვენია) | 273.3 |
| 4. ხიგურდ პეტერსენი (ნორვეგია) | 272.3 |
| 5. ვოლფგანგ ლოიცლი (ავსტრია) | 259.8 |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) | 1087 ქულა |
| 2. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 915 |
| 3. ადამ მალიში (პოლონეთი) | 853 |
| 4. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 780 |
| 5. ანდრეას კუტელი (შვეიცარია) | 649 |

## ექვსი ერი 2007



ნაკრებში დაბრუნებული ჯეისონ რობინსონი მინდვრიდან ულელოოდ არ გადის

# ჯენკინსი ჯერ კიდევ შორსაა

**ექვსი ერის მეორე ტურში სანამ ირლანდია და საფრანგეთი დაჭამდნენ ერთმანეთს ყველაზე მულამიანი ჯახი ედინბურგში შედგა. ექვსი ერის შარშანწინდელი ჩემპიონი გამოუცნობ შოტლანდიას მარიფილდში ესტუმრა და 44 ათასი მოსეირის თვალწინ სასტიკად დამარცხდა, იშტაზე მოსულმა ინგლისმა კი იტალიას ვერ გადაუარა**

**შოტლანდია 21:9 უელსი**
**შოტლანდია:** 7ს: პატერსონი
**უელსი:** 3ს: ჯონსი

როგორც ჩანს, ორიწლისწინანდელი უელსისგან მხოლოდ სახელიღა დარჩა და ექვს ერზე იტალია რომ არ იყოს, ხის კოვზის კანდიდატობას წითელ „დრაკონებს" ვერავინ შეეცილებოდა. ხის კოვზი მოგეხსენებათ სამარცხვინო „ჯილდოა" და ექვს ერზე ყველა მატჩის წამგებ ნაკრებს გადაეცემა.

უელსმა უკვე წააგო ირლანდიასთან და შოტლანდიასთან, სათამაშო დარჩა ინგლისთან, საფრანგეთთან და იტალიასთან. ამათში უელსი მხოლოდ იტალიის მომრევი თუა და სწორედ ამ მატჩში გაირკვევა „ხის კოვზის" მეპატრონე.

სხვაფრივ, მარიფილდში გამართულ ულელოო მატჩში ძალიან ივაჟკაცა შოტლანდიელმა გარემარბმა და კაპიტანმა კრის პატერსონმა, რომლის შვიდმა საჯარიმომ გაანადგურა უელსელები.



შოტლანდიელებს 21-ივე ქულა კრის პატერსონმა მოუნაგრა

**ინგლისი 20:7 იტალია**
**ინგლისი:** ლ: რობინსონი; 5ს: უილკინსონი
**იტალია:** 1ლ: სკანავაკა; 1გ: პეცი

ამ მატჩში ყველაზე საინტერესო იყო რამდენი ქულით მოუგებდა ინგლისი იტალიას და აქედან რამდენი იქნებოდა „ვარდების" ჯადო ათი ნომრის ჯონი უილკინსონის მონაგარი. ამჯერზე უილკინსონი „მხოლოდ" 15 ქულას დასჯერდა. ახლა მათი სანაკრებო მონაგარი 54 მატჩში 859 ქულაა. სპეციალისტებს ისლა აწუხებთ, უილკო ათასიანთა კლუბში როდის შეურთდება დიდ უელსელს, ნილ ჯენკინსს. ეს ალბათ წლევანდელ მსოფლიოს თასზე მოხდება.

**ბაჩო სვანიძე**

— 11 თებერვალი. დუბლინი —

**ირლანდია 17:20 საფრანგეთი**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 2 | 0 | 0 | +39 | 4 |
| ინგლისი | 2 | 0 | 0 | +35 | 4 |
| ირლანდია | 1 | 0 | 1 | +7 | 2 |
| შოტლანდია | 1 | 0 | 1 | -10 | 2 |
| უელსი | 0 | 0 | 2 | -22 | 0 |
| იტალია | 0 | 0 | 2 | -49 | 0 |

## ევროპის ერთა თასი 2007-08

# რუსმა დათვმა ესპანელი ლომი დატორა

— 10 თებერვალი. მადრიდი —

**ესპანეთი 14:39 რუსეთი**

ამ უქმეებზე ექვსი ერის პარალელურად მისი „უმცროსი ძმის" ევროპის ერთა თასის ტურიც იყო. ტური საქართველოს ნაკრებმა გამოტოვა, რაკი განრიგით მარტამდე უწევს უქმობა.

მადრიდში წლევანდელ ტურნირზე პირველად ითამაშეს ესპანეთმა და რუსეთმა. ესპანეთი შარშანწინ გავარდა ერთა თასის მეორე დივიზიონში, მაგრამ წლეულს მაჩანჩალა უკრაინის მაგივრად დაბრუნდა და საქმე ისე აქვს გაისად ალბათ უკან მოუწევს დაქვეითება.

რუსებმა ზედ ტურნირის წინ გაუშვეს სამხრეთ აფრიკელი მთავარი მწვრთნელი ბაქის ხრუნევოლდი და გუნდი დროებით ჩააბარეს თავიანთ ლეგენდას ვლადიმირ მირონოვს. მანაც გაამართლა და შუაგულ მადრიდში იქაურ „ლომებს" სირცხვილი აჭამა.

რუსებმა ექვსჯერ დაალელოვეს მასპინძლები. ლელოები გარბუზოვმა, შაკიროვმა, გალიანოვსკიმ, კუშნარიოვმა და გვოზდოვსკიმ გაიტანეს. ამ უკანასკნელმა სულაც დუბლი მიითვალა.

ესპანელთა ერთი ლელო და სამი საჯარიმო მხოლოდ პრესტიჟის ამბავილა იყო. ამ გამარჯვების შემდეგ უბურთების უკეთესი სხვაობით რუსეთი ჯერჯერობით ლიდერობს საერთათასო ამქარს.

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 1 | 0 | 0 | +25 | 3 |
| საქართველო | 1 | 0 | 0 | +3 | 3 |
| პორტუგალია | 1 | 0 | 0 | +3 | 3 |
| რუმინეთი | 0 | 0 | 1 | -3 | 0 |
| ესპანეთი | 0 | 0 | 2 | -28 | 0 |
| ჩეხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

# ევროპელ ჭაბუკთა რჩეულები

**იქამდე** დიდი დროა, მაგრამ ევროპის რაგბის ფედერაციამ (FIRA-AER) აპრილში გასამართი 18-წლამდელთა საამსეზონო ევროპის ჩემპიონატის კალენდარი გამოაქვეყნა.

ევრორაგბობა საფრანგეთში გაიმართება და უწინდელივით 32 გუნდი ითამაშებს ოღონდ ეს გუნდები რეიტინგით ოთხ ჯგუფში არიან გადანაწილებული.

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ელიტარულ რჩეულში მოხვდა და სწორედ ამ ჯგუფის გამარჯვებული გამოცხადდება ევროპის ჩემპიონად, დანარჩენები კი ქვევიდან ზევით ასასვლელად იბრძოლებენ. რადგან ჯგუფები რვარვა გუნდად არიან დახარისხებული, ტურნირი პირდაპირ მეოთხედფინალებიდან დაიწყება. ელიტარულ ჯგუფში ჩვენების გარდა ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ირლანდია, პორტუგალია, რუმინეთი და რუსეთი ითამაშებენ. კენჭისყრით საქართველოს ნაკრები პირველ მატჩს ირლანდიასთან გამართავს. ელიტარული ჯგუფის მეოთხედფინალების განრიგი კი ასეთია:

— 4 აპრილი —

**საქართველო — ირლანდია**
**ინგლისი — პორტუგალია**
**იტალია — რუსეთი**
**საფრანგეთი — რუმინეთი**



# სულ ზემოთ, ზემოთ

**სახელგანთქმულმა** რუსმა ჭოკით მხტომელმა ელენა ისინბაევამ ამ დისციპლინაში ლეგენდარული უკრაინელის, სერგეი ბუბკას" მიერ დონეცკში ორგანიზებული ტურნირი, რომლის სახელწოდებაც „ჭოკის ვარსკვლავებია", მსოფლიოს რეკორდით მოიგო. ამისთვის მას მეტად დაძაბული და საინტერესო დუელის გადახდა მოუხდა რუს სვეტლანა ფეოფანოვასთან, რამაც ჭერქვეშა ტურნირებისთვის ორი მსოფლიოს რეკორდის დამყარება განაპირობა.

მოვლენები ელვისუსწრაფესად განვითარდა. 472-სანტიმეტრიანი სიმაღლე ორივე რუსმა დაძლია, ოღონდ საამისოდ ელენას ერთი ცდა ეყო, სვეტლანამ კი სამივე გამოიყენა. მერე ისინბაევამ სარეკორდო 48[illegible] [illegible] რველივე ცდაზე [illegible]. [illegible]ნოვა იძულებული შეიქნა, გამარჯვებისთვის თამასა 483-ზე აეწია, ისინბაევამ კი ეს გამოწვევა მიიღო და თავისივე რეკორდი 2 სანტიმეტრით გააუმჯობესა, ფეოფანოვა კი ველარას გახდა.

„დღეს რომ სექტორში სვეტლანა არ ყოფილიყო, არც ჩემი სარეკორდო სიმაღლეები იქნებოდა. საერთოდ, შეჯიბრებისას მეტოქეებს ყურადღებას არ ვაქცევ, მაგრამ დღეს სვეტლანამ მაიძულა, უფრო და უფრო მომემატებინა სიმაღლისთვის. ასეთ ძლიერ და გამოცდილ კონკურენტთან გამარჯვება, თანაც მსოფლიოს რეკორდით, უდიდესი წარმატებაა" — თქვა ისინბაევამ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



ელენა ისინბაევა



# კანოე იპოვეს, პატრონი ვერა

**ვეღარ** მიუგნიათ ავსტრალიელი მოგზაურის ენდრიუ მაკოლის ასავალ-დასავალისთვის, რომელმაც ერთი თვის წინათ კანოეთი მარტოდმარტომ ახალი ზელანდიის სამხრეთის კუნძულისკენ გაცურა. მისი კანოე ახალი ზელანდიის სანაპიროდან 80 კილომეტრის დაშორებით, მილფლორდ საუნდის სანაპიროსთან იპოვეს, თავად მოგზაური კი არსად ჩანდა. ცუდი რადიოსიგნალი, რომლითაც ენდრიუ მაკოლი შველას ითხოვდა, ახალი ზელანდიის სამხედრო-საჰაერო ძალებში მიიღეს. იგი საკმაოდ დაშორებული, მე-40 პარალელს ქვემოთ მდებარე ფორლენდის რაიონიდან მოდიოდა. ექსტრემალი სპორტსმენის ცოლი ვიკი მაკოლი და მისი ოჯახის წევრები იმედს არ კარგავენ, რომ ენდრიუ დაბრუნდება.

„არ მჯერა, რომ ენდრიუს 1600 კილომეტრის გაცურვის მერე, როცა ასე ახლოს იყო ფინიშთან, რაღაც გამოუსწორებელი რამ შეემთხვა" — თავი დაიმშვიდა ვიკი მაკოლმა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# ზვავის სამი მსხვერპლი



**მესტიისა** და ყაბარდო-ბალყარეთის დამაკავშირებელი უღელტეხილის რაიონში მყოფ რუსეთის ოცამდე მთამსვლელს თავს ზვავი დაატყდა, რამაც სამი ალპინისტი იმსხვერპლა. იალბუზის სამძებრო-სამაშველო რაზმის წევრებმა თავდაპირველად ერთ ცხედარს მიაგნეს. იგი აღმოჩნდა 22 წლის კრასნოდარელი ვიქტორ გონენკო, რომლის გვამიც შაბათს შეეულმფრენით ნალჩიკში გადაასვენეს. მაშველებმა კვირას დილით მიაგნეს კიდევ ერთ, სავარაუდოდ, გრიგორ მარტიროსიანის ცხედარს.

მაშველები აგრძელებენ მესამე დაღუპულის ძებნას, რომელიც, არსებული ინფორმაციის მიხედვით, 19 წლის ტატიანა დოლგოპოლოვა უნდა იყოს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ნიკი უტიტულოდ წასვლას არ აპირებს

გერმანელმა მრბოლმა ნიკ ჰაიდფელდმა ფორმულა 1-ში უკვე შვიდი სეზონი გაატარა, თუმც გარკვეულწილად დღემდე მძლოლ-გამოცანად რჩება. 29 წლის პილოტი ქარავანში ერთ-ერთი ყველაზე ასაკოვანი და გამოცდილია. მისთვის 2007 წლის ჩემპიონატი მეორე იქნება სწრაფად პროგრესირებად BMW-ზაუბერის შემადგენლობაში. მიუხედავად იმისა, რომ „სამეფო რბოლების" ვეტერანს 115 ეტაპიდან ჯერ ერთიც ვერ მოუგია, სატიტულო შანსზე ფიქრს თავს მაინც არ ანებებს

**— BMW-ზაუბერმა შარშან პოზიტიური სეზონი ჩაატარა და კონსტრუქტორთა თასზე მერვედან მეხუთე ადგილამდე ამაღლდა. ვფიქრობთ, ამ წარმატებაში ბოლიდთან ერთად საკმაოდ დიდი როლი ითამაშა მსოფლიოს ექსჩემპიონ ჟაკ ვილნევის ახალბედა რობერტ კუბიცათი შეცვლამ.**

— ჟაკის რობერტით შეცვლას პირადად ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონია. ფაქტი ისაა, რომ ჩემპიონატის მსვლელობისას მანქანა თანდათან სრულყოფამდე მივიყვანეთ და ისიც იმ შედეგებს აჩვენებდა, რასაც მოელოდნენ. თავიდან იმედი მქონდა, რომ გუნდი ჩემპიონატს მეექვსე ადგილზე დაასრულებდა, მაგრამ ის, რომ „ტოიოტას" გასწრება შევძელით, უდიდესი მიღწევა გახდა.

**— როგორ ფიქრობთ, დამდეგ სეზონში გუნდის ლიდერი იქნებით?**

— საერთოდ, გუნდში ყველამ თავის პოზიციაზე უნდა იმუშაოს და წინასწარ როლების განაწილება ურთულესი ამბავია. უბრალოდ, რაკი სტაჟიანი მრბოლი ვარ, იმედი მაქვს, რომ გუნდიც და ახალგაზრდა თაობაც ამით მხოლოდ მოიგებს. თუმც რობერტმაც და სებასტიან ფეტელმაც უკვე ნათლად გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობები და BMW-ც მათ იმედზეა.

**— ერთი საჯინიბოს მრბოლები იშვიათად მეგობრობენ. ამბობენ, რომ არც თქვენი და კუბიცას ურთიერთობაა ჰარმონიული.**

— ასეთი საკითხები პრესისთვის მუდამ საყვარელი თემაა, არა მხოლოდ ჩემსა და რობერტის შემთხვევაში. რას იზამ, ასეთია პრესა! გეტყვით, რომ მე რობერტთან თავიდანვე კარგი ურთიერთობა ჩამოვიყალიბდა. ბუნებრივია, ტრასაზე თითოეული ჩვენგანი თავისთვის, იბრძვის, თუმც ეს არ ნიშნავს, რომ კოკპიტის გარეთაც ასეთები უნდა ვიყოთ. არასოდეს მქონია მეწყვილეებთან პრობლემები, ვინც უნდა ყოფილიყო — კიმი რაიკონენი, ფელიპე მასა თუ ჟაკ ვილნევი.

**— თქვენმა გუნდმა განსაზღვრა 2007 წლის ამოცანა — ჩემპიონატში მეოთხე იყოს და შეამციროს ლიდერებთან ჩამორჩენა.**

— ამის დიდი იმედი მაქვს. სეზონის მეოთხე პოზიციაზე დასრულება სასურველი და ლოგიკური ნაბიჯი კი იქნებოდა, მაგრამ რაც უფრო მაღლა ადიხართ მთის მწვერვალისკენ, სუნთქვა ხომ უფრო ჭირს. შარშან ჩვენ 36 ქულა დავაგროვეთ, „ჰონდამ" — 86. ორმოცდაათქულიანი ჩამორჩენა უფსკრულია, მაგრამ თუ BMW-ზაუბერიც და პირადად მეც ერთ მშვენიერ დღეს მსოფლიოს ჩემპიონობას ვაპირებთ, საკუთარ თავს უნდა გადავახტეთ.

**— საჩემპიონო ტიტული თქვენს „დღის წესრიგში" ისევ დგას?**

— სიტუაციის გასარკვევად გეტყვით, რომ ფორმულა 1-ის ჩემპიონატში გამარჯვება ყოველთვის იყო, არის და იქნება ჩემი მიზანი. 2007 წელს არა, ეს არარეალურია, მაგრამ უახლოეს მომავალში.



AFP

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 8 | ლეიტონი-ბრაიტონი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 35 | კემბრიჯი-ფორესტ გრინი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | | | | |
| 23:15 | 83 | დუისბურგი-კარლსრუე | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | | | | |
| 23:30 | 587 | ბასტია-მეცი | 2.70 | 2.80 | 2.60 | 1.37 | 1.32 | 1.34 |
| | | **არგენტინა** | | | | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | | | | |
| 23:30 | 588 | ესტუდიანტესი-კოლმესი | 1.25 | 4.80 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.18 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **14 თებერვალი** | | | | | | |
| 21:00 | 328 | ბორდო-ოსასუნა | 2.10 | 3.00 | 3.40 | 1.23 | 1.29 | 1.59 |
| 21:00 | 329 | ცსკა-მაკაბი ჰაიფა | 1.40 | 4.10 | 7.50 | 1.04 | 1.17 | 2.65 |
| 21:00 | 330 | შახტარი-ნანსი | 1.85 | 3.10 | 4.20 | 1.15 | 1.28 | 1.78 |
| 21:15 | 331 | ლევერკუზენი-ბლექბერნი | 2.10 | 3.10 | 3.45 | 1.25 | 1.30 | 1.63 |
| 22:00 | 332 | ფენერბაჰჩე-ალკმაარი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 22:30 | 333 | სტიაუა-სევილია | 2.90 | 3.10 | 2.35 | 1.49 | 1.29 | 1.33 |
| 22:45 | 334 | აპოელი თ ა-რეინჯერსი | 2.60 | 3.20 | 2.60 | 1.43 | 1.29 | 1.43 |
| 23:30 | 335 | ვერდერი-აიაქსი | 1.65 | 3.30 | 5.30 | 1.10 | 1.25 | 2.03 |
| 23:45 | 336 | აეკ-პსვ | 2.15 | 3.00 | 3.50 | 1.25 | 1.33 | 1.61 |
| 23:45 | 337 | ლივორნო-ესპანიოლი | 2.40 | 3.00 | 3.00 | 1.33 | 1.33 | 1.50 |
| 23:45 | 338 | ბენფიკა-დინამო(ბქ) | 1.44 | 3.70 | 8.00 | 1.03 | 1.22 | 2.52 |
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 20:00 | 339 | სპარტაკი მ-სელტა | 2.10 | 3.00 | 3.50 | 1.23 | 1.31 | 1.61 |
| 23:00 | 340 | ბრაგა-პარმა | 2.20 | 3.00 | 3.40 | 1.26 | 1.33 | 1.59 |
| 23:45 | 342 | ლანსი-პანათინაიკოსი | 1.90 | 3,20 | 4.10 | 1.19 | 1.29 | 1.79 |
| 23:45 | 343 | ზ ვარეგემი-ნიუკასლი | 4.00 | 3.10 | 1.90 | 1.74 | 1.28 | 1.17 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 358 | მიდლსბრო-ბრისტოლი | 1.35 | 4.10 | 7.80 | 1.01 | 1.15 | 2.68 |
| 23:45 | 359 | ნორვიჩი-ბლეკპული | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი LDV Trophy** | | | | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 369 | დონკასტერი-ქრიუ | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 22:00 | 448 | მორა-აიკ | 1.85 | 4.20 | 2.50 | 1.28 | 1.06 | 1.56 |
| 22:00 | 449 | ჰვ 71-ლინჩიოპინგი | 1.65 | 4.20 | 3.30 | 1.18 | 1.10 | 1.84 |
| 22:00 | 450 | ფროოლუნდა-ფერიესტადი | 2.20 | 4.20 | 2.25 | 1.44 | 1.11 | 1.46 |
| 22:00 | 451 | ბრიუნესი-იურგორდენი | 1.70 | 4.30 | 3.00 | 1.21 | 1.08 | 1.76 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 20:30 | 468 | კალპა-კერპეტი | 4.50 | 4.30 | 1.35 | 2.19 | 1.03 | 1.02 |
| 20:30 | 469 | ჰელსინკი-ჰაამეენლინა | 2.10 | 4.10 | 2.40 | 1.38 | 1.12 | 1.51 |
| 20:30 | 470 | იოკერიტი-იუვესკიულე | 1.35 | 4.50 | 5.00 | 1.03 | 1.06 | 2.36 |
| 20:30 | 471 | ესპოო-პელიკანსი | 1.70 | 4.20 | 3.10 | 1.21 | 1.09 | 1.78 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 20:00 | 506 | ზვოლენი-მიხალოვჩე | 1.35 | 4.50 | 5.00 | 1.03 | 1.06 | 2.36 |
| 20:00 | 507 | სკალიცა-პოპრადი | 2.00 | 4.20 | 2.55 | 1.35 | 1.12 | 1.58 |
| 20:30 | 508 | მარტინი-ტრენჩინი | 2.20 | 4.10 | 2.25 | 1.43 | 1.11 | 1.45 |
| 20:30 | 509 | ნიტრა-სლოვანი | 2.30 | 4.10 | 2.20 | 1.47 | 1.12 | 1.43 |
| 20:30 | 510 | კოშიცე-ჟილინა | 1.15 | 5.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 2.72 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 22:30 | 521 | მანჰაიმი-კიოლნი | 1.80 | 4.20 | 3.00 | 1.25 | 1.12 | 1.75 |
| 22:30 | 522 | დუისბურგი-ჰამბურგი | 3.30 | 4.20 | 1.65 | 1.84 | 1.10 | 1.18 |
| 22:30 | 523 | სტრაუბინგი-აუგსბურგი | 1.85 | 4.20 | 2.65 | 1.28 | 1.08 | 1.62 |
| 22:30 | 524 | კრეფელდი-ფრანკფურტი | 2.10 | 4.20 | 2.35 | 1.39 | 1.10 | 1.50 |
| 22:30 | 525 | იზერლონი-დიუსელდორფი | 2.50 | 4.10 | 2.00 | 1.55 | 1.11 | 1.34 |
| 22:30 | 526 | ინგოლშტადი-ჰანოვერი | 1.65 | 4.20 | 3.00 | 1.18 | 1.06 | 1.75 |
| 22:30 | 527 | აისბარენი-ნიურნბერგი | 2.10 | 4.20 | 2.40 | 1.39 | 1.12 | 1.52 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 22:45 | 542 | ციურიხი-რაპერსვილი | 2.00 | 4.20 | 2.60 | 1.35 | 1.13 | 1.60 |
| 22:45 | 543 | დავოსი-ცუგი | 1.75 | 4.20 | 3.00 | 1.23 | 1.10 | 1.75 |
| 22:45 | 544 | ლუგანო-ბერნი | 2.00 | 4.20 | 2.35 | 1.35 | 1.08 | 1.50 |
| 22:45 | 545 | ბაზელი-ამბრი | 2.25 | 4.10 | 2.30 | 1.45 | 1.13 | 1.47 |
| 22:45 | 546 | ფრიბურგი-კლოტენი | 2.50 | 4.20 | 2.00 | 1.56 | 1.11 | 1.35 |
| 22:45 | 547 | ლანგნაუ-სერვეტი | 2.30 | 4.20 | 2.20 | 1.48 | 1.12 | 1.44 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ბექემი ბრძენია!
## ფაბიო კაპელო: საბოდიშო არაფერი მაქვს


AFP

მოსახდენი მოხდა: ფაბიო კაპელომ დევიდ ბექემი ათამაშა და ინგლისელმაც თავისი გააკეთა — „სოსიედადის“ კარი ფანტასტიკური საჯარიმო დარტყმით დალაშქრა. მერე ვან ნისტელროიმაც გაიტანა და „რეალმა“ დაძაბუნებულ ბასკებთან თითქმის წაგებული თამაში შემოატრიალა — 2:1.
დონ ფაბიოს მატჩის შემდეგ ესპანური მედია ესაუბრა...

— „სოსიედადთან“ შეხვედრაზე რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?

— ჩვენების საბრძოლო განწყობა ძალიან მომეწონა. მართალია, ცუდად დავიწყეთ, მეტოქეს საჩუქარი მივუძღვენით, მაგრამ შემდეგ „რეალი“ გამოფხიზლდა და ბიჭებმა გამარჯვებისთვის გააფთრებით იბრძოლეს. „სოსიედადი“ ხომ პრიმერაში დარჩენას ცდილობს, სან სებასტიანში ბურთაობა ყოველთვის ძნელი იყო და დღეს უფრო გართულდა.

— დევიდ ბექემმა გაგაკვირვათ?

— მე ადრე ვთქვი, რომ ბექემი „რეალის“ ფეხბურთელია და გუნდის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

— ინგლისელს პატიება არ სთხოვეთ?

— ბექემს ორჯერ ველაპარაკე — ამ კვირაში და ერთი კვირის წინ. დევიდმა „სოსიედადთან“ უაღრესად მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა. ადრე ისიც ვთქვი, რომ სხვათა გამოსწორება ბრძენთა საქმეა — დევიდმა თავისი საქმე თავადვე გამოასწორა, მე კი მასთან საბოდიშო არაფერი მაქვს.

**— კი მაგრამ, მადლობა მაინც თუ უთხარით?**

— მადლობა „რეალის“ ყველა ფეხბურთელს ვუთხარი. გუნდმა ხომ საერთო ჯამში შესანიშნავად ითამაშა.

**— ხომ არ ნანობთ, ინგლისელი მოედანზე ადრე რომ არ გამოგყავდათ?**

— განაცხადში იმიტომ შევიყვანე, რომ სამი კვირის განმავლობაში ბეჯითად ივარჯიშა. მომავალზე უნდა ვიფიქროთ და არა წარსულზე.

**— „რეალმა“ „სოსიედადთან“ ძნელ თამაშში გაიმარჯვა. თქვენს კრიტიკოსებს რას ეტყოდით?**

— ძალიან მშვიდად ვარ. ეს უშფოთველობა კი იმის ბრალია, რომ ვიცი, რა დიდ სამუშაოსაც ვაკეთებ — ფეხბურთელებიც ხელს მიწყობენ და წინსვლას ვაგრძელებთ. ჩვენ პრიმერადივიზიონი და ჩემპიონთა ლიგა უნდა მოვიგოთ. ვფიქრობ, „რეალს“ ამის გაკეთება შეუძლია.

**— „სოსიედადთან“ მატჩისას თანამდებობის დაკარგვის არ გეშინოდათ?**

— არა. მე იმათ კატეგორიას არ ვეკუთვნი, რწმენას რომ კარგავენ.

# ოზის მოკიდებამდე
## როცა ოჯახი თოფის ქვეშ კანკალებს

**ინგლისური** „ჩელსის“ ნიგერიელმა მწვრთნელმა ჯონ ობი მიკელმა თქვა, ნაკრების ქომაგები ჩემს ოჯახს სიკვდილით დაემუქრნენ და იძულებული გავხდი, ჟოზე მაურინიუს არ დავმორჩილებოდიო.


ჯონ ობი მიკელი

„ხალხი გაბრაზებულია ჯერ კიდევ იმის გამო, რომ ოქტომბერში 2008 წლის აფრიკის ეროვნებათა თასის შესარჩევ მატჩში არ ვითამაშე. სულ რამდენიმე კაცმა გაიგო, თუ რა საშინელება გამოვიარე ამის გამო. სირცხვილია, ასეთი რამე საქვეყნოდ ცნობილი რომ გახდება, მაგრამ მხოლოდ ღმერთმა იცის, რა მოხდებოდა, მე რომ უარი მეთქვა განასთან თამაშზე“ — განაცხადა ნიგერიელმა.

„ჩელსის“ არ უნდოდა მიკელის გაშვება ნიგერიასთან ამხანაგურ შეხვედრაზე, რადგან მცირე ტრავმა აწუხებდა და გართულებას ერიდებოდნენ. მან 90 წუთი ითამაშა და „სუპერარწივები“ განელებთან 1:4 დამარცხდნენ.

„ჟოზე მაურინიუ გაბრაზდა იმის გამო, რომ განასთან ვითამაშე? — იკითხა მიკელმა „სანთან“ საუბარში — ეს საკვირველი არაა, მაგრამ შევეცდები, ავუხსნა, თუ რატომ მოვიქეცი ასე და ალბათ გამიგებს. უნდა შეიგნოს, საშინელება გამოვიარე. „ჩარლტონთან“ შეხვედრის შემდეგ ტრავმა მაწუხებდა და კლუბმა მირჩია, განასთან არ მეთამაშა. ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციის შეფებს მდგომარეობა ავუხსენი და „ჩელსის“ ექიმმაც მითხრა, რომ დასვენება მჭირდებოდა. ერთ ტაიმზე მეტი განასთან არ უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ რაკი „მარსელის“ ნახევარმცველი ვილსონ ორუმა ტრავმის გამო გამოგვაკლდა, იძულებული გავხდი, მთელი მატჩი მოედანზე დავრჩენილიყავი.“

**გაჟა ხუციშვილი**

# დელ პიერომ მეუღლე უარყო



**ტურინის** „იუვენტუსისა“ და იტალიის ნაკრების შემტევმა ალესანდრო დელ პიერომ ოფიციალურად განაცხადა, რომ მისი მეუღლე სონია ამორუზო ფეხმძიმედ არ არის.

„ჩემთვის ძალიან უხერხულია, რომ ასეთი იფორმაციის უარყოფა მიხდება, რადგან სონია მართლა ფეხმძიმედ რომ იყოს, უზომოდ ბედნიერი ვიქნებოდი. სამწუხაროდ, ასე არ არის“ — თქვა დელ პიერომ, ვინც დღე-დღეზე ავტობიოგრაფიულ წიგნს გამოუშვებს.

**ქახა შალამბერიძე**

## მისაღები მივიღოთ

**უეფას** სადისციპლინო კომიტეტმა სტამბოლის „ბეშიქთაშს“ [illegible] ვისენტე დელ ბოსკესთვის რვა მილიონი ევროს გადახდა დააკისრა. შეგახსენებთ, რომ მადრიდის „რეალიდან“ გა[illegible] 2004-ის ზაფხულში მივიდა „ბეშიქთაშში“, მაგრამ ექვსი თვის შემდეგ, 2005-ის ზამთარში გაათავისუფლეს. დელ ბოსკეს სამწვრთნელო შტაბში კიდევ სამი ესპანელი იყო და სტამბოლურმა კლუბმა ფული მათაც უნდა გადაუხადოს.

## მუტაუაკილა ოდოა

**რომის** „ლაციომ“ მიაგნო მასიმო ოდოს შემცვლელს, რომელიც „მილანში“ გადავიდა. რომაული კლუბის სკაუტები საფრანგეთისა და შვეიცარიის ახალგაზრდული ნაკრებების შეხვედრას დაესწრნენ და ფრანგთა იასინ მუტაუაკილას დააკვირდნენ. 20 წლის მცველი მეორე დივიზიონის „შატორუში“ თამაშობს და კონტრაქტი 2008 წლამდე აქვს. იტალიური მედიის ცნობით, მუტაუაკილას გადაბირება „ლაციოს“ 600 ათასი გირვანქა დაუჯდება.

## ჯემალი იყიდეს

**ინგლისურმა** „ბოლტონმა“ ორ ნიჭიერ ფეხბურთელს წინასწარი კონტრაქტი გაუფორმა — კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, „ციურიხის“ და შვეიცარიის ნაკრების ნახევარმცველი, 20 წლის ბლერიმ ჯემალი „ბოლტონში“ ორი სეზონით გადავა, ხოლო „ბორდოს“ ცენტრალურმა მცველმა ჟერალდ სიდმა პრემიერლიგელებთან ოთხწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ამ ფეხბურთელების გადაბირება „მილანს“, „იუვენტუსს“, „ვოლფსბურგსა“ და „ვულვერჰემპტონს“ სურდათ.

## თასი და ტური: მაისი და აპრილი

**იტალიის** თასის ორი ფინალური მატჩი „რომასა“ და „ინტერს“ შორის 9 და 17 მაისს გაიმართება. პირველ შეხვედრაში რომაელები „სტადიო ოლიმპიკოზე“ უმასპინძლებენ მილანელებს, ხოლო საპასუხო „სან სიროზე“ შედგება.

რაც შეეხება 22-ე ტურს, რომელიც „კატანია“ — „პალერმოს“ მატჩში მომხდარი ჩხუბის გამო გადაიდო, 18 აპრილს ჩატარდება.

## შვილმა მამას აურია

**ლონდონის** „ჩელსის“ კოტდივუარელმა ფორვარდმა დიდიე დროგბამ უარყო ჭორები „არსენალში“ გადასვლის თაობაზე. აყალმაყალი მას შემდეგ ატყდა, რაც დროგბას შვილი აიზეკი „მეთოფეების“ მაისურში გამოწყობილი ნახეს. „ობზერვერთან“ ინტერვიუში ჩელსელმა ფეხბურთელმა განაცხადა, რომ აიზეკი ტიერი ანრის თავგადაკლული ფანია და ამიტომაც აცვია „არსენალს“ მაისურა.

„არსად წასვლას არ ვაპირებ — თქვა დროგბამ — აქაურობა მომწონს და თავს კომფორტულად ვგრძნობ. გუნდის შეცვლის მიზეზს ვერ ვხედავ“.

## ჟოზე გაზომეს

**პორტუგალიაში** ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, ფანთა უმრავლესობა ნაკრების მწვრთნელად ჟოზე მაურინიუს დანიშვნას ემხრობა. გამოკითხულთა 43 პროცენტმა ხმა „ჩელსის“ თავკაცს მისცა, ხოლო გუნდის ამჟამინდელი მწვრთნელ, ბრაზილიელ ლუიშ ფელიპე სკოლარის დატოვებას ერთი პროცენტით ნაკლები მიემხრო.

სკოლარის კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ ეწურება და ევრო 2008-ის შემდეგ მიდის. მის ხელში პორტუგალია ევრო 2004-ის ფინალში საბერძნეთთან დამარცხდა, ხოლო მსოფლიოს გასულ ჩემპიონატზე ნახევარფინალში საფრანგეთთან წააგო.

## ბომბარდირი მეკარე

**შვეიცარიული** „ბაზელის“ და ხორვატიის ნაკრების თავდამსხმელი მლადენ პეტრიჩი შვეიცარიის ჩემპიონატის საუკეთესო მეკარეთა ნუსხაში მეექვსე ადგილზე გავიდა. ბომბარდირებში პეტრიჩი პირველია, რადგან 14 გოლი გაიტანა, მაგრამ როგორ მოხვდა მეკარეებში? უეფას თასზე „ნანსისთან“ მატჩში, რომელიც 23 ნოემბერს გაიმართა, ხორვატი კარში ჩადგა და პენალტი მოიგერია. „ბაზელს“ გოლკიპერი ფრანკო კოსტანცო ამ დროისთვის გაძევებული იყო ბოლო იმედის ჯარიმისთვის, მწვრთნელს კი შეცვლის ლიმიტი ამოწურული ჰქონდა.

## კანჩელსკისის ლურსმანი

**დონეცკის** „შახტარის“, „მანჩესტერ იუნაიტედის“, „რეინჯერსის“, „ფიორენტინას“, „სატურნის“ და „კრილია სოვეტოვის“ ყოფილი ნახევარმცველი ანდრეი კანჩელსკისი ფეხბურთიდან წავიდა. პოსტსაბჭოეთის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა ამის თაობაზე ყოველკვირეულ „ფუტბოლს“ განუცხადა.

„ჯობია, წავიდე, ვიდრე ვიჯდე და პირველი დივიზიონის კლუბების წინადადებებს ველოდო“ — თქვა კანჩელსკისმა, ვინც უახლოეს მომავალში მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში აპირებს ჩაბარებას.

## რატომ წამომიყვანეთ?!

**ინგლისური** „ევერტონის“ ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ენდი ვან დერ მეიდემ განაცხადა, რომ გუნდის დატოვებაზე ფიქრობს.

„ან არ ვთამაშობ, ან განაცხადშიც ვერ ვხვდები. მე ინგლისში ამისთვის არ ჩამოვსულვარ“ — განაცხადა ვან დერ მეიდემ.

## ინგლისი
### პრემიერლიგა
### XXVII ტური

**ევერტონი 1:0 ბლექბერნი**

1:0 ჯონსონი (10)
ევერტონი: ჰოვარდი, ფ. ნევილი, იობო, სტაბსი, ლესკოტი, ვან დერ მეიდე (ბიტი 55), კარსლი, ფერნანდეში, არტეტა, ტ. კეჰილი, ე. ჯონსონი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ბლექბერნი: ფრიდელი, ხიზანიშვილი (ტოდი 83), სამბა, ნელსენი, ბერნერი, ემერტონი, დანი (რობერტსი 15), თუგაი, ბენტლი, გალაჰერი (ჯეფერსი 66), მაკკარტი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: კეჰილი, ფერნანდეში, ტოდი
მსაჯი: სტაილზი
35 593 მაყურებელი

**მანჩესტერი 2:0 ჩარლტონი**

1:0 პარკი (24), 2:0 ფლეტჩერი (82)
მანჩესტერი: კუშჩაკი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ფლეტჩერი, სქოულზი, პარკი, გიგზი (ლარსონი 63), რუნი, საა (რიჩარდსონი 81)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ჩარლტონი: კარსონი, სანკოფა, ბუგერა, დიავარა, ტეტჩერი, რომედალი, სონგ-ბილიონი, ჰოლანდი (ბ. ჰიუზი 73), ფეიე (ფენგი 40), ამბროზი (ლისბი 73), მ. ბენტი
მწვრთნელი: ალან პერდიუ
გაფრთხილება: დიავარა
მსაჯი: რაილი
75 883 მაყურებელი

**ჩელსი 3:0 მიდლსბრო**

1:0 დროგბა (45), 2:0 შავიერი (66ს.კ.), 3:0 დროგბა (83)
ჩელსი: ჩეხი, ლ. დიარა (რობენი 65), პ. ფერეირა, ტერი, ბრიჯი, ესიენი, მაკელელე, ლამპარდი, ს. კალუ (შ. რაიტ-ფილიპსი 85), დროგბა, შევჩენკო (ჯერემი 83)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
მიდლსბრო: შვარცერი, დევისი, შავიერი, პოგატეცი, ტეილორი, მორისონი (იუელი 73), ბოატენგი, არკა (როჩემბაკი 84), დაუნინგი, ვიდუკა (კრისტი 84), აიეგბენი
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
გაფრთხილება: დაუნინგი
მსაჯი: ფოი
41 699 მაყურებელი

**ნიუკასლი 2:1 ლივერპული**

0:1 ბელამი (6), 1:1 მარტინსი (26), 2:1 სოლანო (70პ)
ნიუკასლი: ჰარპერი, ტეილორი, ონიევუ, ბრამბლი, ბაბაიარო, სოლანო (დაფი 86), პარკერი, ბატი, მილნერი, დაიერი (სიბიერსკი 81), მარტინსი
მწვრთნელი: გლენ როედერი
ლივერპული: ხ. რეინა, ფინანი (კრაუჩი 84), კარაგერი, აგერი, რიისე, პენანტი (არბელოა 76), სისოკო, ჯერარდი, ზენდენი (გუტრიე 75), ბელამი, კუიტი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ბრამბლი, ჯერარდი
მსაჯი: ჰალსი
52 305 მაყურებელი

**არსენალი 2:1 უიგანი**

0:1 ლანძაატი (35), 1:1 ჰალი (81ს.კ.), 2:1 როსიცკი (85)
არსენალი: ლემანი, ჰოიტი (ალიადიერი 77), ტურე, ჯურუ (ადებაიორი 51), კლიში, ჟ. ბაპტისტა, ჟილბერტო სილვა, ფაბრეგასი, როსიცკი, ანრი, უოლკოტი (ფლამინი 67)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
უიგანი: კირკლანდი, ბაინსი, ბოისი, ჰალი (ჰესტადი 90), ჯექსონი, ტეილორი (ვალენსია 87), ლანძაატი, სკოკო, აგაჰოვა (კილბეინი 87), ჰესკი, მაკკალოხი
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
გაფრთხილება: ტურე, ბაინსი, ანრი, მაკკალოხი, როსიცკი, ლემანი, ფაბრეგასი, ჰალი, კლიში
მსაჯი: დოუდი
60 049 მაყურებელი

**ბოლტონი 2:1 ფულემი**

1:0 სპიდი (23პ), 2:0 ნოლანი (51), 2:1 ნაითი (66)
ბოლტონი: იასკელაინენი, ბენ ჰაიმი, ჰანტი, მეიტე, გარდნერი, იანაკოპულოსი, ნოლანი, სპიდი (ტომპსონი 68), თეიმურიანი (ტალი 81), ანელკა, დიუფი (პედერსენი 86)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
ფულემი: ლაშტუვკა, კრისტენვალი, ნაითი, კედრუ, როსენიორი, ვოლცი (რაძინსკი 63), მ. ბრაუნი (სმერტინი 62), დევისი, დიოპი, ჰელგუსონი (მონტელა 67), მაკბრაიდი
მწვრთნელი: კრის კოულმენი
გაფრხთილება: ბრაუნი, ჰელგუსონი, დევისი, ტომპსონი, კედრუ
მსაჯი: ვები
24 919 მაყურებელი

**პორტსმუთი 2:1 მანჩესტერ სიტი**

1:0 მენდეში (5), 1:1 კორადი (62), 2:1 კანუ (81)
პორტსმუთი: ჯეიმსი, გ. ჯონსონი, პამარო, კემპბელი, ტრაორე (კრანჩარი 71), ონილი, დევისი, პ. მენდეში (ლორენი 44), ტეილორი, ენდი კოული (კანუ 71), ლუა ლუა
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
მანჩესტერ სიტი: ისაკსონი, რიჩარდსი, დანი, დისტინი, ჟიხაი (სამარასი 87), ბარტონი, აირლენდი (ბისლი 61), დაბო, ბოლი, კორადი, ბასელი (მილერი 79)
მწვრთნელი: სტიუარტ პირსი
გაფრთხილება: კოული, პამარო, კანუ, დაბო, ბარტონი, კორადი
მსაჯი: დინი
19 344 მაყურებელი

**რედინგი 2:0 ასტონ ვილა**

1:0, 2:0 სიდუელი (16, 90)
რედინგი: ჰანემანი, მარტი, ბიკეი, ინგიმარსონი, შორი, ლიტლი (ოსტერი 77), ჰარპერი, სიდუელი, ჰანტი, ლიტა, ლონგი (კიტსონი 62)
მწვრთნელი: სტივ კოპელი
ასტონ ვილა: სორენსენი, ბერდსლი, მელბერგი, გ. კეჰილი, ბერი, აგბონლაჰორი (ბერგერი 75), მაკკანი, პეტროვი, მელოუნი, კარეუ, იანგი (დევისი 88)
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: ჰარპერი, ბიკეი, იანგი
მსაჯი: კლატენბურგი
24 122 მაყურებელი

**შეფილდი 2:1 ტოტენჰემი**

0:1 ჯენასი (2), 1:1 ჰალსი (27), 2:1 იაგიელკა (62პ)
შეფილდი: კენი, გირი, იაგიელკა, ლუკეტი, არმსტრონგი, კაზიმ-რიჩარდსი (ფატი 72), ტონგე, მონტგომერი, ს. ქუინი, ჰალსი (ბრომბი 90), სტიდი
მწვრთნელი: ნილ უორნოკი
ტოტენჰემი: რობინსონი, ჩიმბონდა, დოუსონი, როშა, ასუ-ეკოტო, ჯენასი, ზოკორა, ტაინიო (დეფო 63), მალბრანკი (მიდო 73), ბერბატოვი, კინი
მწვრთნელი: მარტინ იოლი
გაფრთხილება: მონტგომერი, ტონგე, ბრომბი, როშა, დეფო, ჩიმბონდა, ჯენასი, კინი
მსაჯი: ატკინსონი
32 144 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 0:1 უოტფორდი**

0:1 ჰენდერსონი (12პ)
ვესტ ჰემი: გრინი, ნილი (სპექტორი 32), ე. ფერდინანდი, დევენპორტი, მაკკარტნი, ბენაიუნი, რეო-კოკერი, ქვოში (ბოა მორტე 80), ეზერინგტონი, ჰარვუდი, ზამორა (ტევესი 46)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
უოტფორდი: ფოსტერი, მარიაპა, დემერიტი, მაკეი, სტიუარტი, სმიტი, მაჰონი, ფრენსისი, კაველი (ბანგურა 75), ჰენდერსონი (შიტუ 90), კაბა (აშიკოდი 79)
მწვრთნელი: ადრიან ბოთროიდი
გაფრთხილება: დევენპორტი, სპექტორი, ბენაიუნი, რეო-კოკერი, მარიაპა, აშიკოდი
მსაჯი: ვაილი
34 625 მაყურებელი



სესკ ფაბრეგასის „არსენალმა" პატარა „უიგანი" ბოლოსდა გატეხა

AFP

# ტალახიანი მეკარეობა
## ქირისუფალი ბაბაიარო და მოღალატე ბელამი

**თოვლწვიმათა** გამო „სენტ ჯეიმს პარკი" ტალახის აბაზანას ჰგავდა და მსაჯი მარკ ჰალსი ნაშუადღევიდან ამოწმებდა მინდორს, რომელზეც ჯორდებს „ლივერპულისთვის" უნდა ემასპინძლათ.

ბოლოს მსაჯმა თქვა, ვითამაშოთ და გაირკვა, რომ ამ ტლაპოში საწვალებელი თამაშის საცქერლად სეზონის სარეკორდო, 52 305 მაყურებელი მისულიყო. ამათი სრული უმრავლესობა აწ წითელ სამოსში გამოწყობილ, თავის გუშინდელ გმირ კრეიგ ბელამის უსტვენდა.

ნიუკასლელთა მეკარე სტივ ჰარპერს ძალიან უჭირდა ტალახში თამაში ისევე, როგორც პეპე რეინას. თამაში კი მაინც მაგარი გამოვიდა. ბელამი თითქოს მთელ „სენტ ჯეიმსს" ამარცხებდა, რადგან, ჯერმენ პენანტის გადაცემა იოლად მოიხმარა და ჰარპერს გაუტანა. პენანტს კი ბურთი სწორედ ჰარპერისგან მიუვიდა.

რამდენიმე წუთში სტივ ტეილორმა ჰარპერს უკან გაუგორა, მაგრამ რახან ბურთი ცუდად დაგორავდა, ის ზენდენის ფეხებში აღმოჩნდა და ამჯერად „ნიუკასლი" მეკარემ იხსნა.

მასპინძლებმა რეინას წყალობით გაათანაბრეს: კირონ დაიერის პასზე გამოსული პეპე თავისიანს შეეჯახა და ობაფემი მარტინსმა მშვიდად გააყაიმა.

თამაში მძიმე, მაგრამ ნამდვილი გამოვიდა. მეორე ტაიმში ტეილორი სტუმართა საჯარიმოში შევარდა და იქ იონ არნე რიისემ მოცელა. ნორბი სოლანომ რეინა წააწვინა და საპირისპირო კუთხეში ჩასვა ბურთი.

„ლივერპულმა" ორმაგი შეცვლა მოახდინა და საჯარიმოს მიაჯაჭვა „ნიუკასლი". ყოველ ნახევარ წუთში სახიფათო ჯარიმა იდებოდა და მათ კიდევ კუთხურები მოსდევდა, მაგრამ მასპინძლებმა გაძლეს.

თამაშის შემდეგ გლენ როედერმა იმდენად მოგებაზე კი არა, სელესტინ ბაბაიაროზე ილაპარაკა, რომელსაც წინა ღამით ძმა გარდაეცვალა, მაინც გამოვიდა მინდორზე და გმირულად ითამაშა: „მას უფროსმა ძმებმა უთხრეს, რომ ცხონებულს გაეხარდებოდა მისი მინდორზე ხილვა. ვიცი, ეს რაც არის. ასევე მოვიქეცი, როცა მამა გარდამეცვალა. სელესტინის ამბავი ფანებმა არ იცოდნენ. ახლა უფრო დააფასებენ მის დღევანდელ თამაშს".

რაფა ბენიტესი კი უიღბლობას უჩიოდა, პირველი ტაიმის შემდეგ ოთხი ბურთით წინ უნდა ვყოფილიყავითო. ობა მარტინსი კი ჯერ მთლად ალან შირერი ვერაა, მაგრამ „სენტ ჯეიმსის" ნამდვილი გმირი ხდება.

საბრალო „ვესტ ჰემი" კი უკვე ხუთი ქულით ჩამორჩება დაცულ ზონას და გავარდნის რეალური საფრთხის წინაშე დგას. „უოტფორდი" პირველად დასაჩუქრდა პენალტით ამ სეზონში და პირველად მოიგო გასვლითი თამაში. „აპტონ პარკი" კვნესოდა, კარლოს ტევესს ტაშით ეგებებოდა, ბობი ზამორა ცარიელ კარში აცილებდა, მარლონ ჰარვუდმა პენალტიც გააფუჭა... და ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ „ვესტ ჰემი" უფსკრულისკენ მიექანება.

ლიდერთა მდგომარეობა კი უცვლელია: „მანჩესტერმა" კარგად ვერ ითამაშა, მაგრამ „ჩარლტონს" მოუგო, ჩელსელმა დიდიე დროგბამ კი კვლავ დუბლი შეასრულა „სტემფორდ ბრიჯზე". „პორტსმუთმა" „სიტის" მოუგო, თუმცა დამსახურებული მწვრთნელი ჰარი რედნაპი შესვენებისას გვირაბში მსაჯ დინთან ატეხილი ჩხუბის გამო გააძევეს მინდვრის კიდიდან. ამ თამაშში ერთი საკვირველება მოხდა: სიტელმა ჯოი ბარტონმა სასტიკად მოცელა ზლვისპირელი პედრო მენდეში, რომელიც შესაცვლელი შეიქნა. პირველ წრეში ბარტონმა ზუსტად ასევე მოცელა მენდეში და დისკვალიფიკაციაც მიიღო.

სხვაც ბევრი იყო საინტერესო: ასეა ხოლმე, როცა პრემიერლიგა გაზაფხულს მიადგება.

**ირაკლი გამყრელიძე**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| დროგბა (ჩელსი) | 17 |
| რონალდუ (მანჩესტერი) | 15 |
| ვან პერსი (არსენალი) | 11 |
| აიეგბენი (მიდლსბრო) | 11 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 27 | 21 | 3 | 3 | 63:18 | 66 |
| ჩელსი | 27 | 18 | 6 | 3 | 48:19 | 60 |
| ლივერპული | 27 | 15 | 5 | 7 | 40:19 | 50 |
| არსენალი | 26 | 14 | 7 | 5 | 48:22 | 49 |
| ბოლტონი | 27 | 14 | 5 | 8 | 32:28 | 47 |
| რედინგი | 27 | 13 | 4 | 10 | [illegible]:34 | 43 |
| პორტსმუთი | 27 | 11 | 8 | 8 | 36:26 | 41 |
| ევერტონი | 26 | 10 | 9 | 7 | 32:23 | 39 |
| ნიუკასლი | 27 | 10 | 6 | 11 | 34:36 | 36 |
| ბლექბერნი | 27 | 10 | 4 | 13 | 30:38 | 34 |
| ტოტენჰემი | 26 | 9 | 6 | 11 | 30:38 | 33 |
| მიდლსბრო | 27 | 8 | 8 | 11 | 30:33 | 32 |
| ასტონ ვილა | 27 | 7 | 11 | 9 | 28:33 | 32 |
| ფულემი | 27 | 7 | 11 | 9 | 29:41 | 32 |
| შეფილდი | 27 | 8 | 6 | 13 | 24:36 | 30 |
| სიტი | 26 | 8 | 6 | 12 | 20:32 | 30 |
| უიგანი | 26 | 7 | 4 | 15 | 27:43 | 25 |
| ვესტ ჰემი | 27 | 5 | 5 | 17 | 18:42 | 20 |
| ჩარლტონი | 27 | 5 | 5 | 17 | 20:47 | 20 |
| უოტფორდი | 26 | 3 | 9 | 14 | 15:37 | 18 |

**XXVIII ტური**
23-24 თებერვალი

| | | |
|---|---|---|
| მიდლსბრო | : | რედინგი |
| ტოტენჰემი | : | ბოლტონი |
| უოტფორდი | : | ევერტონი |
| უიგანი | : | ნიუკასლი |
| ასტონ ვილა | : | არსენალი |
| ბლექბერნი | : | პორტსმუთი |
| ჩარლტონი | : | ვესტ ჰემი |
| ფულემი | : | მანჩესტერი |
| ლივერპული | : | შეფილდი |
| სიტი | : | ჩელსი |

### ჩემპიონატი
**XXXII ტური**

საუთენდი — ქუინზ პარკი 5:0; ბარნსლი — კოლჩესტერი 0:3; ბარნლი — უენსდი 1:1; ქოვენთრი — კარდიფი 2:2; დერბი — ჰალი 2:2; იფსვიჩი — ლესტერი 0:2; ლიდსი — კრ. პალასი 2:1; პლიმუთი — სანდერლენდი 0:2; პრესტონი — ვულვზი 0:1; ვესტ ბრომვიჩი — საუთჰემპტონი 1:1; ბირმინგემი — სტოკი 1:0. *ლუთონი — ნორვიჩი გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დერბი | 32 | 19 | 6 | 7 | 42:30 | 63 |
| ბირმინგემი | 30 | 17 | 6 | 7 | 49:30 | 57 |
| ვესტ ბრომვიჩი | 32 | 16 | 8 | 8 | 58:37 | 56 |
| პრესტონი | 32 | 16 | 8 | 8 | 47:33 | 56 |
| საუთჰემპტონი | 32 | 14 | 11 | 7 | 49:35 | 53 |
| სანდერლენდი | 32 | 16 | 5 | 11 | 45:34 | 53 |
| კარდიფი | 32 | 14 | 11 | 7 | 45:34 | 53 |
| კოლჩესტერი | 32 | 15 | 6 | 11 | 53:35 | 51 |
| ვულვზი | 32 | 14 | 8 | 10 | 34:34 | 50 |
| სტოკი | 32 | 13 | 10 | 9 | 40:27 | 49 |
| პლიმუთი | 32 | 10 | 13 | 9 | 42:43 | 43 |
| კრ. პალასი | 32 | 11 | 9 | 12 | 39:37 | 42 |
| უენსდი | 32 | 11 | 8 | 13 | 43:48 | 41 |
| ბარნლი | 31 | 10 | 9 | 12 | 34:34 | 39 |
| იფსვიჩი | 32 | 11 | 6 | 15 | 40:44 | 39 |
| ქოვენთრი | 32 | 11 | 5 | 16 | 32:42 | 38 |
| ლესტერი | 31 | 9 | 10 | 12 | 32:38 | 37 |
| ნორვიჩი | 30 | 10 | 7 | 13 | 37:47 | 37 |
| ქუინზ პარკი | 32 | 9 | 6 | 17 | 38:53 | 33 |
| ჰალი | 32 | 8 | 8 | 16 | 33:45 | 32 |
| ლუთონი | 31 | 8 | 8 | 15 | 38:52 | 32 |
| ბარნსლი | 32 | 9 | 5 | 18 | 33:53 | 32 |
| საუთენდი | 32 | 7 | 10 | 15 | 32:48 | 31 |
| ლიდსი | 31 | 9 | 3 | 19 | 34:56 | 30 |

### პირველი ლიგა
**XXXII ტური**

ბორნმუთი — ლეიტონი 5:0; ბრენტფორდი — ბრაიტონი 1:0; ბრისტოლი — ჰადერსფილდი 1:1; კარლაილი — იოვილი 1:4; ჯილინგემი — ბრედფორდი 1:0; მილუოლი — ჩესტერფილდი 2:1; ნოტინგემი — ნორთჰემპტონი 1:0; სუონსი — ოლდემი 0:1; ტრანმერი — დონკასტერი 1:0. *ქრიუ — სკანთორპი, პორტ ვეილი — ჩელტენემი და როტერჰემი — ბლეკპული გადაიდო*

### მეორე ლიგა
**XXXII ტური**

ბარნეტი — აკრინგტონი 1:2; დარლინგტონი — ბოსტონი 2:0; გრიმსბი — როვერსი 4:3; ჰარტლპული — უოლსოლი 3:1; ლინკოლნი — ტორკი 1:0; პიტერბრო — რექსემი 3:0; სტოკპორტი — მენსფილდი 1:0; უიკომბი — ნოტსი 0:0. *ჩესტერი — ჰერეფორდი, დონსი — მაკლსფილდი, როჩდეილი — სუონსი და შრიუსბერი — ბერი გადაიდო*

### კონფერენს ლიგა
**XXXII ტური**

გრეივსენდი — მორეკემბი 2:1; ალდერშოტი — ოქსფორდი 1:1; ალტრინჩემი — იორკი 0:4; კემბრიჯი — გრეისი 2:0; დაგენემი — რაშდენი 1:2; ექსეტერი — უოქინგი 1:0; ფორესტ გრინი — კიდერმინსტერი 2:1; სენტ ალბანსი — ქროული 2:2; სტივენეჯი — ბარტონი 2:1; ტემუორთი — სოთპორტი 1:1; ვეიმუთი — სტაფორდი 1:2. *ჰალიფაქსი — ნორსვიჩი გადაიდო*

# იტალია

## სერია A
## XXIII ტური

**მილანი 2:1 ლივორნო**

1:0 გატუზო (29), 1:1 ლუკარელი (31), 2:1 იანკულოვსკი (68)

მილანი: სტორარი, ოდო, ბონერა, მალდინი, იანკულოვსკი, გატუზო, პირლო, ზეედორფი (ბროკი 75), კაკა, ჯილარდინო (აბროზინი 79), რ. ოლივეირა (რონალდო 63)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

ლივორნო: ამელია, გრანდონი, კუფური, გალანტე, პასკუალე (პაულინიუ 83), ა. ფილიპინი, მორონე, პასონი, სეზარი (ბალერი 69), ფიორე, კ. ლუკარელი

მწვრთნელი: დანიელე არიგონი

მსაჯი: როზეტი

37 000 მაყურებელი

**კიევო 0:2 ინტერი**

0:1 ადრიანო (1), 0:2 კრესპო (51)

კიევო: სიჩინიანო, ფ. მორო, მანდელი, მანტოვანი, ლანა, სემიოლი, სამარკო, იტალიანო, ბრიგი (კოსოვსკი 54), ბოგდანი (კოცოლინო 76), ობინია (პელისიერი 62)

მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი

ინტერი: ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, მატერაცი, მაქსველი (დაკური 70), ხ. ძანეტი, ვიეირა, კამბიასო, სტანკოვიჩი (ფიგუ 75), ადრიანო, კრესპო (კრუზი 89)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: მანდელი, მატერაცი, ლანა

მსაჯი: მესინა

უმაყურებლოდ

**რომა 3:0 პარმა**

1:0 ტოტი (50), 2:0 პეროტა (66), 3:0 ტადეი (90)

რომა: ა. დონი, კასეტი, პანუჩი, ფერარი, ტონეტო, დე როსი, დ. პიზარო, ტადეი, პეროტა (როზი 90), მანსინი (ვილჰელმსონი 75), ტოტი (ტავანო 83)

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

პარმა: ბუჩი, პერნა (პიზანუ 70), ფ. კოუტუ, კონტინი, ფერონეტი, ბოლანო, პარავიჩინი (ჩიგარინი 52), პ. კასტელინი, მორფეო (მუსლიმოვიჩი 79), ბუდანი, ჯ. როსი

მწვრთნელი: სტეფანო პიოლი

გაფრთხილება: პარავიჩინი, როსი, ბოლანო, კასეტი, კონტინი, კოუტუ, კოუტუ

გაძევება: კოუტუ (88)

მსაჯი: ტრეფოლონი

55 000 მაყურებელი

**პალერმო 0:1 ემპოლი**

0:1 ალმირონი (46)

პალერმო: ა. ფონტანა, ძაკარდო, ბიავა, ბარძალი, მ. პიზანო, გუანა (ჯოვანი ტედესკო 58), კორინი, სიმპლისიო (ჯაკომაცი 85), დი მიკელე, ბრეშიანო (ბრიენცა 58), კარაჩოლო

მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი

ემპოლი: ბალი, რაჯი, ლუკინი (ვანილი 90), პრატალი, ტოსტო, დ. მორო, ალმირონი, ბუშე, ვანუკი (საუდატი 75), მატეინი, პოცი (მარიანინი 54)

მწვრთნელი: ლუიჯი კანი

გაფრთხილება: პრატალი, გუანა, დი მიკელე, ბალი

მსაჯი: გირარდი

34 000 მაყურებელი

**ატალანტა 0:0 ლაციო**

ატალანტა: კალდერონი, რივალტა, ტალამონტი, ლორია, ბელინი, ფერეირა პინტუ (ტისონე 76), მილიაჩო, დონატი, არიატი, კ. დონი, ძამპანა (ვენტოლა 82)

მწვრთნელი: სტეფანო კოლანტუონო

ლაციო: პერუცი, ბეჰრამი, სივილია, კრიბარი, ძაური, ფირმანი, ლედესმა, მუტარელი, მაური, პანდევი (ლ. ხიმენესი 71), როკი (ტარე 90)

მწვრთნელი: დელიო როსი

გაფრთხილება: ბელინი, ბეჰრამი

მსაჯი: მორგანტი

უმაყურებლოდ

**მესინა 1:1 კატანია**

1:0 ძანკი (35), 1:1 მასკარა (60)

მესინა: კალიონი, ზორო კპოლო, ძანკი (მორელო 87), რეა, ლავეკია, პესტრინი, დავერსა (დე ვეცე 79), კანდელა, პარიზი, მაზიელო (ილიევი 71), ბაკაიოკო

მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი

კატანია: პანტანელი, ლუჩენტი, სტოვინი, მინელი, ვარგასი, ბაიოკო, ედუსეი, კაზერტა, ჯ. კოლუჩი (იცკო 80), სპინეზი, მასკარა (კორონა 84)



ფრანჩესკო ტოტის თავური და დიმპიტაური

AFP

# ბურთაობა ქარიშხლის შემდეგ

მწვრთნელი: პასკუალე მარინო

გაფრთხილება: ლავეკია, ბაიოკო, მაზიელო

მსაჯი: პაპარესტა

უმაყურებლოდ

**ფიორენტინა 2:0 უდინეზე**

1:0 რეგინალდო (16), 2:0 პაცინი (44)

ფიორენტინა: ფრეი, უიფალუში, დაინელი (კროლდრუპი 33), გამბერინი, პასკუალი, მონტოლივო (პაზიენცა 78), ლივერანი, ბლაზი, იორგენსენი, პაცინი (დი კარმინე 69), რეგინალდო

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი

უდინეზე: დე სანქტისი, საპატა, ნატალი, კოდა, პინცი, ობოდო, გ. დაგოსტინო (სიკეირა 59), დე მარტინო (მუნტარი 46), მ. მოტა (ლუკოვიჩი 83), იაკინტა, გიანი

მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი

გაფრთხილება: იორგენსენი, რეგინალდო, პინცი, ბლაზი

მსაჯი: აიროლდი

უმაყურებლოდ

**სამპდორია 2:0 ასკოლი**

1:0 მაჯო (48), 2:0 ფრანჩესკინი (75)

სამპდორია: კასტელაცი, მაჯო, აკარდი, ფალკონე, კ. ძენონი, კალიარელა, პალომბო, ვოლპი (პაროლა 74), დ. ფრანჩესკინი, ბონაცოლი (ბაცანი 59), ფლაკი (რ. ოლივერა 85)

მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო

ასკოლი: პალიუკა, ვასტოლა, მელარა, ნასტაზე, მინიერი, ბუდიანსკი (ბონანი 52), პ. ძანეტი (პესკე 74), ჯ. ფონტანა, ფინი, პაოლუჩი (სონჩინი 55), ბიელანოვიჩი

მწვრთნელი: ნედო სონეტი

გაფრთხილება: მინიერი, ძანეტი, ფინი, ვოლპი, პალიუკა, კალიარელა

გაძევება: მელარა (70)

მსაჯი: ბერტინი

22 000 მაყურებელი

**კალიარი 2:2 სიენა**

0:1 კორვია (29), 1:1 კაპონე (38), 2:1 სუაზო (66), 2:2 კოდრია (82)

კალიარი: ფორტინი, ფ. პიზანო (კანინი 83), ბიზერა, ბიანკო, აგოსტინი, მარკინი, კონტი, ბიონდინი (ლ. კოლუჩი 77), ლანჯელა, კაპონე (პენალბა 86), სუაზო

მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა

სიენა: მანინგერი, ბერტოტო (ნეგრო 78), პორტანოვა, რინაუდო, მოლინარო, ანტონინი, კოდრიან, ვერგასოლა, კოცა, კორვია (ბრევი 85), მაკარონე (ფრიკი 57)

მწვრთნელი: მარიო ბერეტა

გაფრთხილება: კოდრია, რინაუდო

მსაჯი: ბერგონცი

18 000 მაყურებელი

**ტორინო 1:2 რეჯინა**

0:1 ბიანკი (48), 1:1 კომოტო (50), 1:2 ბიანკი (58)

ტორინო: აბიატი, ოგბონა, ბრევი (გალო 78), ი. ფრანჩესკინი, კომოტო, ბარონე, არდიტო, ბალესტრი, როზინა, ლაზეტიჩი (მუცი 68), აბრუსკატო (სტელონე 81)

მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი

რეჯინა: კამპანოლო, ლანძარო, ა. ლუკარელი, არონიკა, მესტო, ვიჯანი (ფოჯა 68), ამერინი (გაცი 56), ჯაკომო ტედესკო, მოდესტო, ბიანკი (მისიროლი 84), ნ. ამორუზო

მწვრთნელი: ვალტერ მაცარი

გაფრთხილება: ამერინი, მესტო, მოდესტო, სტელონე

მსაჯი: როკი

50 000 მაყურებელი

**ერთი** კვირის წინ იტალიური კალჩო სიცილიურმა დერბიმ შეძრა — კატანიაში პალერმოელების სტუმრობა მასობრივ უწესრიგობასა და პოლიციელის მკვლელობაში გადაიზარდა. „სარბიელის" მკითხველს მთელი კვირის განმავლობაში ამ ტრაგედიისა და მისი გამოძახილის შესახებ ინფორმაცია ნამდვილად არ აკლდა. და აი, გუშინ კალჩო ისევ სიცილიური დერბის წინაშე იდგა — მესინაში „კატანია" ჩავიდა და... თამაში მთელი იტალიისთვის საერთო 15 საათის ნაცვლად 16 საათზე დაიწყო. ასეთ დროს გული, უპირველეს ყოვლისა, ავს შიშობს, მაგრამ სისხლიანი ისტორიების მოყვარულთ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ — მსაჯმა პაპარესტამ თამაშის დაწყება ერთი საათით წვიმისგან დარბილებული გრუნტის გამო გადადო. უფრო ზუსტად ასე იყო: პაპარესტამ მოედანი მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე შეამოწმა და აღმოაჩინა, რომ მართალია, მის უმეტეს ნაწილზე ბურთი ნორმალურად ხტის, ერთ-ერთ საჯარიმოში მაინც პრობლემაა. გარდა ამისა, თამაშის გაგადებას მხარს ორივე გუნდის წარმომადგენლები უჭერდნენ. ისინი შიშობდნენ, რომ სველ მინდორზე ფეხბურთელები დაშავდებოდნენ.

დავძინოთ, მესინაში სტადიონზე მაყურებელი არ დაასწრეს.

